საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ორშაბათი, 15 მარტი. 1920 წ.

ერთობა

ფასი 3 მანეთი

[illegible] ერთი 1 თვით 75 მანეთი; ცალკე [illegible] 3 მანეთი. განცხადების ფასი [illegible] სტრიქონი 5 მანეთი. [illegible] 4 მან. [illegible] 15×2 სტრიქონი [illegible] 100 მანეთი. [illegible] რედაქცია და კანტორის ადრესი: კრუზენშტერნის ქ. 4, [illegible] 12—10-მდე. ტელეფონი 16—69

№ 60 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 60

ღრმათ დამწუხრებულნი მშობლები ნესტორი და ივლიტა შვილებით დავითით და თამარით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ თავიანთ ძვირფასის და დაუვიწყარის შვილის I ვაჟთა გიმნაზიის მე 8 კლასის მოწაფის

კონსტანტინე (კოლიას) ნესტ. ძე მერკვილაძის

გარდაცვალებას ა. წ. 13 მარტს. პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე. გამოსვენება მოხდება სამშაბათს, 16 მარტს, დილის 10 საათზე, წყნეთის ქუჩიდან, № 12, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაზე, საიდაც წირვის შემდეგ მოხდება დაკრძალვა. (957—2—2)

მწუხარებით მკლოვნი. მეუღლე მაგდანა შვილებით: მიხაკო, ნიკო, ნესტორი და სიმონი ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მარტის ათს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

ზურაბ ბექანის ძე ბერიძე

დასაფლავება სამშაბათს მარტის 16 ს. ერკეთში. (967 1-1)

ნატალია და მიხეილ, შვილები: ვანიჩკა და გრიშა ელენე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, პირველი ორის ძვირფასი მამის, ხოლო დანარჩენთა ბაბუას

ზურაბ ბექანის ძე ბერიძის

გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება ს. ერკეთში. სამშაბათს მარტის 16 ს. (972—1—1)

ღრმა მწუხარებაში მყოფი მამა კონსტანტინე ენუქის ძე, დები: ლიუდმილა და ალექსანდრა, ძმები: სიმონ და კირიონი კალანდარიშვილები უღრმეს მადლობას უცხადებენ ყველა იმ პირთ, რომელთაც პირადი დასწრებით თუ დეპეშებით გაიზიარეს ჩვენი განუსაზღვრელი მწუხარება, ბათუმის ქართულ გიმნაზიის ინსპექტორის

დავით (დათიკო) კონსტ. კალანდარიშვილის

უდროოდ გარდაცვალების გამო. (973—1—1)

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირი

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ ნება დართო

◆ ქალაქთა კავშირს ◆

მიიღოს თავის საწყობებში ტვირთი

რომელიც მოდის საზღვარ-გარეთიდან მაზზე

ტრანზიტის უფლების დაცვით

გასატან ბაჟის გადაუხდელად და საქონლის საზღვარგარეთ გატანის ნებართვის წინასწარ მიუღებლად.

ქალაქთა კავშირის საწყობებში შეიძლება მიღებულ იქმნეს შესანახად ტრანზიტის უფლების დაცვით, მხოლოდ ის საქონელი, რომელიც თფილისში მოდის შემდეგი ადრესით: თფილისი, ტრანზიტით ამა და ამისათვის. წესი ქალაქთა კავშირის სატრანზიტო საწყობებით სარგებლობისა მსურველს შეუძლია მიიღოს ქალაქთა კავშირის კომერციულ განყოფილებაში. (გოგოლის ქ. № 51, ტელეფონი 11—54 და 3—84). (ნ. 3—1)

1920 წლის 21 იანვარს სახლიდან სადღაც წავიდა ჩემი შვილი

ნიკიტა დიმიტრის ძე ჩხიკვიშვილი

13 წლისა; ნიშნები: ტანათ მომაღლო, წაბლის ფერი თმა, შავი თვალები, რგვალი პირის სახე. ვსთხოვთ მნახველს შეგვატყობინოს მისი ვინაობა დ. ჩოხატაურში დიმიტრი ჩხიკვიშვილს. (ფ 1—1)

ექიმი ბ. ი. ოქროპირიძე

ღებულობს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქუჩა № 22, სოლოლაკი. (ნ.—ო.)

შინაურ ფრონტზე

ბოლშევიკებმა სოციალიზმის განხორციელებაში მოახდინეს დიდი საწყალი. დაიწყეს უკან რუსეთი ბატონყმობის დროისკენ. რუსეთში აღარ არსებობს წარმოება, აღარ ღუღის ცეცხლი ფაბრიკა ქარხნებში. საწარმოო ძალების განადგურება მივიდა უკანასკნელ წერტილამდის. თავისუფალი შრომით აღარ [illegible] ამათი გაცოცხლება. ლენინის მთავრობა იღებს ამიტომ შრომის ძალდატანებით ზომებს.

შრომის რაზმი—ეს არის უკანასკნელი სიტყვა ბოლშევიკური სოციალიზმის, შრომა გადაიქცა სახელმწიფოთ, სამხედრო სამსახურათ. შიმშილ-სიცივისაგან ისე ვერ დავიხსნით თავს,—ამბობს ხოლმე ლენინი.

აქამდის მუშას შეეძლო თავისი ნებით სამუშაოს ამორჩევა, ახლა უნდა იმუშაოს იქ, სადაც უბრძანებენ. აქამდის შეეძლო გადასულიყო ერთი წარმოებიდან მეორეში, ერთი დარგიდან მეორეში, ახლა აღარ აქვს ამის ნება, აქამდის, როგორც პიროვნება, ის იყო თავისუფალი, თავის სამუშაო ძალა თითონ შეეძლო მიეყიდა ან ერთი დამქირავებლისთვის, ან მეორესთვის. წავიდოდა იქ, სადაც ნახავდა უფრო ხელსაყრელ პირობებს. ახლა ის სავსებით მყიდველის განკარგულებაშია. მისი მყიდველ-დამქირავებელი ახლა სახელმწიფოა. ლენინის სახელმწიფო დღეს გავს დიდ საჯარო ბანაკს. აქ არის ორი ფრონტი. ერთზე სამოქალაქო ომი წარმოებს, მეორეზე—შრომის.

ბოლშევიკები არ მოელოდნენ, თუ ამისთანა ზომების მიღება საჭირო იქნებოდა მათ სამთავროში. ნახეს, რომ არ აქვთ სხვა გზა. რუსეთის მუშა გამოდგა ისეთივე მოუმზადებელი სოციალიზმისთვის, როგორიც იყო თითონ რუსეთი. მუშა არ აკლებდა მოთხოვნებს იმ დროს, როცა წარმოება ეცემოდა. გაფიცვების საშუალებით ცდილობდა გაეუმჯობესებინა თავისი ეკონომიური მდგომარეობა, როცა თითონ რუსეთი ირღვეოდა ეკონომიურათ.

ამისთანა მუშა შეადგენდა უმრავლესობას და ამ უმრავლესობის წინააღმდეგ ლენინის მთავრობამ მიიღო ერთი ზომა. დამოუკიდებელ მუშათა მოძრაობის გზა დაუკეტა, პროფესიონალურ კავშირებს, როგორც კლასიურ ორგანიზაციებს ბოლო მოუღო, გამოაცხადა სახელმწიფო ორგანიზაციებათ. ამათ ნება აღარ აქვთ მუშათა მოძრაობას ხელმძღვანელონ, გაფიცვები მოაწყონ. კლასობრივი ბრძოლა შეიძლებოდა მხოლოდ ბურჟუაზიულ მთავრობასთან და ეს დიდ დანაშაულათ ითვლება „სოციალისტურ" მთავრობის ხელში. აქ, როგორც ლენინის მიმდევრები ამბობენ, მუშათა კლასს აღარ ყავს მოპირდაპირე გაბატონებული კლასი, აქ ამიტომ კლასთა ბრძოლა მიმართული იქნება თითონ მუშათა კლასის წინააღმდეგ. ეს კი ღალატია. მოღალატეების ასალაგმავათ სასტიკი საშუალებებია საჭირო... ასეთია ახალი „სოციალისტური" თეორია ბოლშევიკების სამეფოში გამოტანილი მუშათა საკითხში.

რუსეთის მუშა ვერ გრძნობს, რომ კლასობრივი მეფობა მის ხელშია, ვერ ემორჩილება ამ „თეორიას". მისი შრომის ნაყოფიერება ვერ იზრდება, პირიქით უფრო და უფრო ვარდება. უზომო სიძვირე და ნაკლები ხელფასი. ასეთ პირობებში არ მოითხოვებათ ნაყოფიერი მუშაობა. ბოლშევიკები მაინც მოითხოვენ. აქ ხდება შეჯახება. „მუშათა" მთავრობა შეარდება მუშათა კლასს. ერთი უპირდაპირდება მეორეს. ისახება და იზრდება შინაური ფრონტი. ლენინის მთავრობისთვის ეს ფრონტი უფრო სახიფათოა, ვიდრე ის, რომელზედაც დენიკინებთან უხდება ბრძოლა.

ამ დღეებში მოსკოვიდან გადმოცემული ცნობები ვნახეთ ყველა გაზეთებში. ლენინს უთქვამს,—მუშები თავის მოვალეობას არ ასრულებენ, ამიტომ სახელოსნოებში, ფაბრიკა ქარხნებში სამხედრო წესები უნდა შემოვიღოთო. უფრესია ეკონომიური ცნობები იქიდანვე. შრომის მთავარ კომიტეტს გამოუცია ახალი დარიგება მშრომელთა რაზმის შესახებ. აქ ვკითხულობთ: „მუშათა დიდი ნაწილი ეძებს უკეთეს პირობებს, ხანდახან სპეკულიაციასაც მისდევს, სტოვებს საწარმოო დაწესებულებებს, გადადიან ერთი ადგილიდან მეორეზე, ამით უარესათ აფერხებს წარმოებას, ამწვავებს საერთო მდგომარეობას. ამიტომ საბჭოთა მთავრობა და პროფესიონალური ორგანიზაციები სასტიკათ, შეურიგებლათ უნდა ებრძოლონ შრომის რაზმიდან გაქცეულებს. საჭიროა ამათი სიების გამოქვეყნება, დაჯარიმება. ზოგ-[illegible] სატუსაღო ბანაკში „დამწყვდევა".

ცხადია, რომ მუშათა კლასი „მუშათა" მთავრობას ვეღარ ეგუება. გრძნობს, რომ ეს მთავრობა ეწინააღმდეგება მის უპირველეს ეკონომიურ ინტერესებს. ვთქვათ, მოვიდა გარეშე ძალა და შეარყია ლენინის მთავრობა. ეს მუშათა კლასი მიეგებება ამ ძალას. ვთქვათ, ლენინის მთავრობამ გაიმარჯვა გარეშე ფრონტზე, დაამარცხა ყველა განაპირა ადგილებზე დენიკინი და მისი თანამეომრები, ვთქვათ აღორძინდა მისი ძალა მთელ რუსეთში, თეთრი ზღვიდან საქართველომდის. ამ დროშის ქვეშ დარჩება პატარა ჯგუფი, მშრომელი ხალხი კი უფრო გაბედულათ გამოვა მის წინააღმდეგ, ვიდრე აქამდის გამოდიოდა. შიმშილს, ბატონ-ყმობას ვერ აიტანს მუშათა კლასი. ჩვენი პროგრამა გვეუბნება, რომ საჭიროა შესაძლებელი გაუმჯობესება მუშათა მდგომარეობაში. წინააღმდეგ ის მოიშლება, განადგურდება ზნეობრივათ და ფიზიკურათ, აღარ გამოდგება სოციალიზმისთვის ბრძოლაში.

მუშათა კლასი შეასრულებს თავის სოციალისტურ მოვალეობას, როცა გამოვა ამისთანა მთავრობის წინააღმდეგ. არ ვარგა გამოსვლა ჯერ. რეაქცია ისარგებლებს და ტახტს გაიკეთებს. უსათუოთ გამოვა მერე, როცა ამ ტახტს არ ეყოლება გარეშე შეიარაღებული მტერი. მაშინ ბოლშევიკების დამარცხება იქნება აუცილებელი. გარეშე ფრონტი უფრო ადვილია დღეს მათთვის, ვიდრე შინაური, გარეთ გამარჯვება გახდება მათი შინაური დაცემის. შეიძლება არ დაეცენ, და თანდათან ფერი გამოიცვალონ, სოციალისტური სიმღერებიდან ბურჟუაზიულზე გადავიდნენ. ამნაირი ფერისცვალებაც დამარცხება იქნება და სხვა არაფერი.

უფლება თუ დანაშაული

როგორც რესპუბლიკის მართველობის ორგანოები, ისე მოსამსახურეთა სხვა და სხვა პროფესიონალური დარგები ამ ჟამათ თავის ორგანიზაციების ჩამოყალიბების პროცესშია. რა თქმა უნდა, ამ მუშაობაში ბევრი შეცდომები არის და იქნება, მაგრამ ეს ასეც უნდა იყოს, რადგან „ერთი ყვავილით", ერთი დაკვრით, ქვეყანა ვერ აშენდება და არც არავის აუშენებია.

სამწუხარო მხოლოდ ისაა, როცა ესა თუ ის პროფესია, თუ მისი კავშირი, ხელოვნურათ ქმნის არევ-დარევას, შეაქვს დეზორგანიზაცია უკვე დაწყობილ საქმეში, ხელს უშლის რესპუბლიკის სააღმშენებლო მუშაობას და ისედაც რთულ და კრიტიკულ მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს, კიდევ უფრო ამწვავებს და მით ხალხის გაჭირვებას აორკეცებს. რა თქმა უნდა, ასე იქცევიან უფრო ჩამორჩენილი, შეუგნებელი პროფესიები, თუ მათი ნაწილები. ესენი არავითარ პასუხის მგებლობას არ გრძნობენ თავიანთ მოქმედებაში, არ შესწევთ იმდენი შეგნება, რომ გაითვალისწინონ შედეგი თავის ყველა ნაბიჯისა. ამიტომ მათი თვალყურის დევნება და საერთო ხელმძღვანელობა უმთავრესად საზრუნავ საგანს შეადგენს პროფესიონალურ ცენტრალური კავშირისას.

შეგნებულმა კავშირებმა კარგათ იციან თუ რა მდგომარეობას განიცდის დღეს ჩვენი რესპუბლიკა. იციან თუ რა მძიმე მოვალეობა აწევს დღეს მუშა-მოსამსახურეებს. იციან თუ რა ხელის შემშლელი იქნებოდა აფორიაქებული ცხოვრების დაწყობაში ერთი შემცდარი, ან დაუფიქრებელი თუ აჩქარებული ნაბიჯის გადადგმა და აი ამიტომ არის, რომ ისინი ასე წინდახედულათ, ფრთხილათ და გონივრულათ იქცევიან, და მთლად სასახელოთ უნდა ითქვას, რომ მიუხედავათ უდიდესი გასაჭირისა, ერთხელაც არ გადადგმიათ ისეთი ნაბიჯი, რომელსაც შეეძლო ქვეყნის აშენების საქმეში ხელის შემშლელი დაბრკოლებანი შეექმნა და გამოეწვია. ასე მოქმედებენ და მოქმედობენ ჩვენი პროფესიონალური კავშირები. მაგრამ, ყველა ოჯახში თითო მახინჯი გამოერევაო, უთქვამთ და ასეთი მახინჯი გამოდგა „სამტრედიის რაიონის აფთიაქებში მოსამსახურეთა კავშირი", რომლის წყალობით და მეთაურობით ამ ჟამათ გაფიცულია სენაკის ერობის აფთიაქებში მოსამსახურენი.

„კავშირმა" მოსთხოვა ერობას, რომ დაუყოვნებლივ დაეთხოვა ყველა მოსამსახურენი და შემდეგ მიეღო მხოლოდ ისინი, ვისაც კავშირი გაუგზავნიდა. ერობამ ვერ შეიძლო ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება. მას არც შეეძლო ეს, რადგან ერთი რომ მოსამსახურენი მიღებული იყვნენ მანამ, სანამ „სამტრედიის კავშირი" გაჩნდებოდა, მეორე ისა, რომ ერობის მოწმობით ყველა მოსამსახურენი ერთგულათ და პატიოსნათ ასრულებენ თავის მოვალეობას; მესამე ისა, რომ ყველა ეს მოსამსახურენი მიღებული არიან სამსახურში სენაკის პროფ. კავშირთან შეთანხმებით, და ს. ხ. ერთი სიტყვით ერობას არ ჰქონდა არც ფორმალური, არც ზნეობრივი უფლება აესრულებინა „სამტრედიის კავშირის" მოთხოვნილება. ამან გამოიწვია „კავშირის" რისხვა და მან მუქარით იძულებულ ჰყო მოსამსახურენი მუშაობისათვის თავი გაენებებინათ. ამ რიგათ „კავშირმა" დასაჯა ერობა, რომელიც დიდ მატერიალურ ზარალს განიცდის; დასაჯა თვით ხალხი, რომელიც ამ უზომო სიძვირის დროს ხელმისაწვდომ ფასებში შოულობდა წამლებს. როგორც სხვა ადგილებში, ისე სენაკშიაც ამ ჟამად მძვინვარებს სხვა და სხვა ავადმყოფობანი და აი ასეთ დროს „კავშირი" ხურავს აფთიაქებს, ითხოვს მოსამსახურეებს და ასე ხელს უწყობს ხალხის ხოცვას და ამას ეძახის „უფლებისათვის ბრძოლას"!

გაფიცვა ასეთ პირობებში, ასე უსაფუძვლოთ და ისიც ასე საპასუხისმგებლო დაწესებულებაში—დიდის დანაშაულია და ჩვენ ვაქცევთ ამას პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს ყურადღებას.

ცენტრალურმა საბჭომ ჩქარა უნდა მიიღოს ყოველგვარი ზომები, რომ გაფიცვა მოხსნილ იქნას და თუ რამე გაუგებრობაა—გამოარკვიოს და „სამტრედიის კავშირის" მესვეურნი შეცდომა აგრძნობინოს...

განი.

პრესა

„აზატამარტი" მეთაურში (ნომერი 58) ეხება ამიერ-კავკასიის სამ რესპუბლიკათა თათბირის მოწვევის შესაძლებლობას და, სხვათა შორის, სწერს:

„ვინც არ იცნობს ჩვენს სინამდვილეს, არ შეუძლია არ გაუკვირდეს ის გულითადი იდილია, რომელიც არსებობს ამიერ-კავკასიის შინ გაზრდილ დიპლომატებს შორის...

„მაგრამ ნუ თუ ისე გულუბრყვილოა რევოლიუციონური დემოკრატია და მისცემს რომელიმე ღირებულებას და მნიშვნელობას ამ ტკბილ მიწერ-მოწერას მთავრობათა შორის, ნუ თუ პირველია თათბირის მოწვევა? სად არის მისი შედეგი? არ არის და ვერც იქნება, სანამ ხელმძღვანელი წრეები ელაპარაკებიან ერთმანეთს მხოლოდ დიპლომატიური ენით და არ სურთ გულწრფელად, სოლიდარულათ გამოსვლა და თანამოქმედება.

„ყველა მათგანი მოდის თავის მაქსიმალური მოთხოვნილებებით და არ სურს დაუთმოს რომელიმე განწყობილებას და ერთი-ორი [illegible] მხრის ან ბანკების შემდეგ წარმომადგენლები ერთმანეთს შორდებიან... „დამატებითი მასალების მისაღებათ".

„ნამდვილი კომედიაა, რომელიც იმდენათ არა ლამაზი და არა საკადრისი ხდება, რამდენათ ხშირად მეორდება. ეს ახალი თათბირი ძლივს თუ თავის მიზნით განსხვავდება ძველებისაგან და აი, ამ მიზეზით არ ექნება მას არავითარი ღირსება. შეიძლება, მართალია, აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის მთავრობანი გრძნობენ, რომ საჭიროა სამი რესპუბლიკის ინტერესების სახელით ხელი აიღონ აგრესიულ იმპერიალისტურ პოლიტიკაზე, უკეთუ ისინი, და ბოლოს, მიელენ იმ შეგნებამდე, რომ შინაგან ანტაგონიზმის მიზეზით ხარჯავენ თავიანთ ძალებს და ბრძოლის ხდებიან ამ ან იმ მეზობელი სახელმწიფოს ინტრიგების მსხვერპლათ. ამის გამო გადარჩენის ერთად-ერთი საშუალებაა, რომ დადგნენ გულწრფელ მეგობრობის და თანამოქმედების გზაზე,—მხოლოდ მაშინ შეიძლება და საჭიროა ლაპარაკი.

„და ისე შეკრება იმისთვის, რომ ერთმანეთს ლაზღანდარონ და გამოეთხოვონ „ტრადიციული" სიტყვები „ხალხის" და „უფლების" საკითხების გარშემო არა ღირს".

„აზატამარტი" „გადარჩენის ერთად-ერთ საშუალებათ" ასახელებს „გულწრფელ და მეგობრულ თანამშრომლობის გზას". რომ „აზატამარტი" მართალს შეითვისებდეს ამ პრინციპებს და შეეცდებოდეს ამ კარგი სიტყვების საქმით დამტკიცებას—ეჭვი არაა, ჩვენი ურთიერთობა ძალიან მალე „მეგობრულ თანამშრომლობათ" იქცეოდა და ამით დიდათ მოიგებდა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ინტერესები. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მზად ვართ „აზატამარტის" სრულ თანაგრძნობას და „გულწრფელობას" შევხვდეთ ამ „მეგობრული თანამშრომლობის" ნიადაგზე.

დანგრეული გორი

ქ. თფილისისა და ქუთაისის შემდეგ, ქ. გორი ჩვენი რესპუბლიკის დანარჩენ სამაზრო ქალაქებ შორის ყველაზე დიდი იყო, როგორც სივრცით, ისე მოსახლეობით. გორი ჩვენი რესპუბლიკის უდიდესი მაზრის დედა-ქალაქი იყო. თავისი მდებარეობით გორი აერთიანებდა იმერეთს ამიერ საქართველოსთან და ერთგვარი კარის ბჭე იყო შიგა ქართლისკენ. ქალაქ გორში და მის მაზრაში—ქართლის ხალხის სულში მტკიცეთ იყო შენახული ნამდვილი ქართველის იერი, ზნე-ჩვეულება, ენა და ადათი. ის ქალაქიც მტკიცეთ ინახავდა ჩვენს ეროვნულ სახეს თავის ისტორიული ნაშთით. მეორე საუკუნიდან გადმოცემულ ციხით,—რომელიც უსიტყვოდ, შეურყეველად უმტკიცებდა ყველას ჩვენი ისტორიული არსებობის სინამდვილეს. როცა ჩვენზედ მომდგარ მტრების საწინააღმდეგო საბუთების ძიებას ვიწყებდით ჯერ თფილისს, ჩვენს დედა-ქალაქს, მის ისტორიულ ნაშთებს, ციხე-ტაძრებზე ავმტკიცებდით და შემდეგ გორს, მის ციხეს და სხვა ისტორიულ ძეგლებს ვასახელებდით და ყოველთვის მტრის—შინაური იყო იგი თუ გარეული—ყველა [illegible] ქ. გორის ისტორიულ ნაშთებზედ იმსხვრეოდა, როგორც ჩვენი ეროვნული შეგნება, ჩვენი ეროვნული პრესტიჟი მტკიცდებოდა და ხელშეუხებელი რჩებოდა. „გორის ციხე—ციხე მაღალი" ბევრს მტერს დაუდუმებია ენა და მტრულად შეხვედრია—ვითომცდა ისტორიული ლეგენდები გადმოცემული და შეუმცდარი! ძველს, ძალიან ძველს ჩვენს ისტორიულ წარსულში, როგორც ჩვენი უძველესი წარსულის მცოდნენიც გვამცნობენ, გორს, მის ციხეს, ორი მხრით მტკვარ-ლიახვის ხაზ შემორტყმულს და მთაგორიანი ბუნებით შემოფარგლულს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. საიდანაც უნდა შემოსულიყო ჩვენს სამშობლოს მტერი, გორის ციხე—მაგარი კლდე იყო—მტრის შემაჩერებელი და უკანმწყვდეველი. მრავალჯერ გადაურჩენია თურმე გორის ციხეს ქართლი ვერაგი მტრის ხელის განადგურება-განიავებას. აი ამიტომ გორი ჩვენი წარსულის ერთგვარი მტკიცე, ისტორიული უტყუარი მეტყველი ძეგლი იყო.

გორმა მთელი რიგი საუკუნოების პირნათლად შეინახა თავისი ისტორიული მისია. გორი იყო და დღესაც არის თავისი დანგრეული ციხით, ტაძრებით, სახლებით და სხვა ნაშთებით ჩვენი უძველესი კულტურის მაჩვენებელი. მრავალი, მრავალი ფერიცვალი და თავგადასავალი—ქართველის ერის შემოქმედებითი კულტურული ხელი—იქ აღბეჭდილია გორის და გორის მიდამოების ნანგრევებიდან.

გორი ჩვენი ქართული კულტურის და ეროვნული სახე—სარკეთი იყო. გორს მთელი რესპუბლიკისათვის და განსაკუთრებით თავის მაზრისათვის დიდი ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა. ჩვენი რესპუბლიკა ნაქებია სხვათა შორის პურით და ხილით და აი სწორედ ამ მხრივ სახელი გორით და მისი მაზრით იყო მოხვეჭილი. გორის მაზრა უდიდესი და ძალიან მდიდარი მაზრაა. იგი თავის უხვეული სანოვაგით ქალაქ თფილისს და სამშობლოს სხვა ნაწილებს ასაზრდოებდა.

დაუჯერებელი სურათი იყო! დანგრეული ქალაქი გორი მცხოვრებლებისაგან იცლებოდა, მის ნანგრევებს მარტო ქარ-ბუქი დაჰპატრონებოდა და ამავე დროს გორის დანგრეულ სადგურზედ თფილისისათვის ვაგონები პურითა და კომბოსტოთი იტვირთებოდა. გორის სამხრეთით ორი დიდი შორის მდებარე მინდორი პურის მდიდარი ჩვენი რესპუბლიკისათვის. დასახელებულ მინდვრებს ზევით მდებარე [illegible] ნაქებია თავის ყურძნით, ღვინით და მებაღეობის სხვა ნაწარმოებით. სურამის ხეობა, ბორჯომის ხეობა, მეჯვრისხევის ხაზი და ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მდიდარი ადგილები გორისაკენ იყვნენ მიქცეულნი მტკიცე ეკონომიური ძარღვებით და ქალაქის საშუალებით მთელს სამშობლოს ეკონომიურათ ემსახურებოდნენ. აი ასეთი დიდი ეკონომიური მნიშვნელობის ქალაქი იყო გორი. მე ვერ წარმომიდგენია გორის მაზრა უქალაქოთ, რა უნდა ქნას მთელმა მაზრამ უქალაქოთ. გორი მთელი მაზრისათვის სწავლა-განათლების, სამედიცინო უწყებების, ადმინისტრაციული წესრიგის, საერობო საქმიანობის და ცხოვრების თითქმის ყოველმხრივი მოთხოვნილების ცენტრი იყო. და აი, სწორედ ის ცენტრი, ის გული, ის დედაბოძი მთელი ჩვენი სამშობლოს უდიდესი კუთხისა დღეს ათასნაირად ნანგრევთა გროვას წარმოადგენს. ოცი თებერვლის მიწისძვრამ ოცი საუკუნის გან-

მაღლობში ნაშენები ქალაქი ბუნების მოულოდნელობამ, საშინელმა სტიქიონმა სულ უნიჭოდ დაანგრია; ხალხის ფაფუსებული სიმდიდრე—მთელი ქალაქი დაინგრა, დაიქცა, მტვრად ექცა. წარსულში სამშობლოს ბევრი შავი დღეები უნახავს. შაჰაბაზებს და ალიხან-ყარაჯებს ბევრჯერ დაუნგრევიათ, დაუწვავთ, აუოხრებიათ ჩვენი ლამაზი სამშობლოს კუთხე-კუთხეები, მაგრამ იმისთანა შემაძრწუნებელი სურათი, რაც 20-მა თებერვალმა დასტოვა გორსა და გარშემო მიდამოებში, ადამიანის ხელს ვერ ძალუძდა ვერც ახლო, ვერც შორეულ წარსულში. ახლო დღეს უწილაა, უცნობ ქვეყნელის ჯოჯოხეთურ ძალას შეუძლია გორის, ტ...ბილის, ბუნებისთვის ქარტლური სურათი შექმნა. და რას გვეტყვის ის საშინელი ძალა ახლო მომავალში ჯერ ხომ კიდევ არავინ იცის!

ჯერ ხომ კიდევ ძალიან საგრძნობლად ინძრევა მიწა გორსა და მის მიდამოებში! ჯერ ხომ კიდევ არ დაშვრალა ბუნება განრისხებული ქვეყნების სტიქიონი! გორში მომხდარი ამბები მთელი რესპუბლიკის დიდი უბედურებაა. გორის კატასტროფა, მთელი ერის გლოვაა.

დღეს ქართველი ერი [illegible] თავის დაკარგულ [illegible] ქალაქს და მის გარემო კუთხის! და ამიტომ მოვალეა ჩვენი მოკეთე ერებისაგან თანაგრძნობის სამძიმრის მოკითხვები.

დანაკლისი დიდია, მწვავეა!

და ეს გამოუთქმელი უბედურება მაშინ დაგვატყდა თავს, როცა მთელი ერი უკიდურეს ეკონომიურ კრიზისს განიცდის! ამ დროს, როდესაც ისტორიულ მომენტში ჩვენს ცხოვრებაში შემოიჭრა ახალი უცნობი, უძლევი ძალა—სტიქია და ლამის არის უკუღმა შეგვიტრიალოს ყველაფერი!

მაგრამ საბედნიეროდ გვაქვს დამშვიდებული იმედით ვუცქერით მომავალს.

რადგან გორის [illegible] ჩვენი რესპუბლიკა, ჩვენი ხალხი, რომელიც მხნეთ და ენერგიით შეუდგა დანგრეული გორის მაგიერ ახალი გორის აღდგენას.

ექიმი ი. ლომოური.

დეპეშები

(საქართველოს ტელეგრაფის სააგენტო)

14 მარტი.

ფრანგული პრესის ცნობები.

ერთა ლიგა და რუსეთის მდგომარეობა.

შაბათს პარიზში ხალხთა ლიგის თათბირი მოხდება. დღის წესრიგში უმთავრეს კითხვად სდგას მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს ერთა ლიგის საბჭოსადმი მიმართვა რუსეთის მდგომარეობის გასაცნობად კომისიის დანიშვნის შესახებ.

პუანკარეს წერილი.

რესპუბლიკის ყოფ. პრეზიდენტმა პუანკარემ ჟურნალ „რევიუ დე დე მონდ" უკანასკნელ ნომერში მოათავსა მეტად საინტერესო წერილი თანამედროვე მომენტის საგარეო პოლიტიკის შესახებ. სათანადოთ იხილავს რა თავის მოადგილის პირველ გამოსვლებს, რომელმაც ჩქარა და სისწორით ხაზი გაუსვა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის როლს,—იგი სამწუხაროთ ხელში უძრავს იმ ცილის წამებას, თითქოს [illegible] პასუხისმგებლობის რაიმე წილი იდოთ ომის დაწყებაში. წერილი თავდება უმაღლეს საბჭოს მოქმედების ფართო ანალიზით და რამდენიმე ამონაწერიც ამ წერილიდან: ჩვენს 30 წლის საზოგადოებრივ მოღვაწეობაში, მე არ მინახავს არც ერთი პრეზიდენტი, მინისტრი, ან მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც ისეთი გიჟი ყოფილიყო, რომ ჩვენსა და გერმანიის შორის კონფლიქტი ეძებნოს, ან გაეგზავნოს და ეთქვა: „[illegible]", ან და თუნდ საიდუმლოდ ეოცნებნოს რევანშის შესახებ". არ შეიძლება, თუნდა ერთი დანაშაული მოიძებნოს რესპუბლიკის მთავრობისა გერმანიის დანაშაულთან შედარებით. შემდეგ ლაპარაკობს რა გერმანიის გულზე, ამბობს, რომ არც ერთ ქვეყანას კრედიტორს არ შეუძლია ისურვოს გაძევებულიყო თავისი მევალისა, რომელმაც ნებნებით უნდა იხადოს ვალი, და არ არის ისეთი ბრმა კაცი, რომელსაც... (ხელს უშლის [illegible]).. ჩვენ დავხარჯეთ ჩვენი სისხლი და საცხოვრებელი თავისუფლების გამარჯვებისათვის ჩვენ უფლება გვაქვს სამაგიეროს მიღებისა.

სპორტის კომისია.

ფიზიკური განვითარების და სპორტის კომისიამ, რომელიც ჰიგიენის სამინისტროსთან არის დაარსებული, პარასკევს მოისმინა სენატორ რენე ბესნარის (?) მოხსენება სპორტის ეროვნულ ბიუროს დაარსების შესახებ.

[illegible] ვატიკანთან.

ფრანგული გაზეთები იუწყებიან: პალატის ფინანსიურმა კომისიამ მიიღო ნოელმერის წარმოდგენილი ხარჯთ აღრიცხვა აუცილებელი გასავალი: ვატიკანთან საფრანგეთის საელჩოს აღსადგენად. წმ. ტახტთან დიპლომატიური დამოკიდებულების აღდგენის საკითხი დიდხანს ირყეოდა სენატის კულუარებში ანგარიშიანებით, რომელიც „პტი პარიზიენის" სიტყვებით გააკეთა მემარცხენე რესპუბლიკების თავმჯდომარემ ტუროსამ. მე უსიტყვოთ ვუერთდები ვატიკანის საელჩოს დაარსებას, მიუხედავად საერთაშორისო საკითხთან დამოკიდებულებისა. რასაკვირველია, მე ვფიქრობ, რომ საფრანგეთი მეტად დაინტერესებულია იმით, რომ იგი წმ. ტახტთან იყოს წარმოდგენილი. სრულებით საჭირო არ არის განვიხილოთ ადმინისტრატიული პოლიტიკის ხასიათი, რომ იქ მოვსძებნოთ ძლიერი არგუმენტები. ამის გარდა ყველა პარტიის პოლიტიკური მოღვაწე თანახმაა ამ აშკარად აუცილებელ ინიციატივის მხარის დაჭერაზე.

ინგლისური პრესის ცნობები

([illegible]).

საბჭოთა მთავრობის შესახებ.

ფელიკსი.... (დამახინჯებულია) რომელიც მუშათა გაზეთში სწერს: იუწყება, რომ საბჭოთა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ადგილობრივი საბჭოების გაუქმების შესახებ. ის აღნიშნავს: ოფიციალური ბრძანება მათი გაუქმების შესახებ აღიარებს, რომ საბჭოები წესრიგის დაცვაში არ გამოდგა, პირიქით, საქმეში შეიტანა დიდი უწესრობა, და მუშაობისა და მრეწველობის დემორალიზაცია გამოიწვია.

ჩრდილოეთ რუსეთში.

ჩრდილოეთის რუსეთის ჯარი წითლების შეტევას ნაკლებ წინააღმდეგობას უწევს. ონეგ. გუბ. ეხლა აღებულია.

პოლონელების შეტევა.

პრიპიატისა და დნესტრის შუა პოლონელებზე ბოლშევიკების შეტევა გრძელდება.

მაღაროების ნაციონალიზაციის გარშემო

ტრედ-იუნიონის სოციალური კონგრესი, რომელიც მარტში შეიკრიბება მუშათა მოძრაობის ისტორიაში სახსოვარი მოვლენა იქნება. იგი შეიკრიბება იმის გადასაწყვეტად, გაიძულოთ თუ არა, ან როგორ გაიძულოთ მთავრობა, რომ მან მაღაროების ნაციონალიზაცია გაატაროს. სდგას ალტერნატივა: ან საერთო გაფიცვები, ან ინტენსიური პოლიტიკური პროპაგანდა, აქედან კონგრესმა უნდა აირჩიოს ან რევოლუცია ან და კონსტიტუციონური მოქმედება. არის აზრი, რომ 70.000 მაღაროს მუშა სოლიდარულათ ხმას მისცემს პარლამენტის მოქმედების სასარგებლოთ.

დენიკინის ფრონტი.

სამხრეთ რუსეთში [illegible] ხაზი ამ ღამით გადის ქაგალნიკ-მეჩეტინსკაიას შუა როსტოვის სამხრეთ-ღმოსავლეთით 40 ვერსზე სტავროპოლზე და სვიატოი კრესტით კასპის ზღვისაკენ.

მარშალი ფოში.

მარშალი ფოში რეინის ჯარს ათვალიერებს. იგი ვარშავაში მივა, რათა გაეცნოს პოლონეთის ჯარს.

გაფიცვა იაპონიაში.

ტოკიოდან მოსული ცნობით კიუშუს პროვინციაში იავატში 13,000 მეტალისტი მუშა გაიფიცა.

გერმანული პრესის ცნობები.

ზავის პირობების ასრულება.

(დასაწყისი არ მიგვიღია)... მიუხედავად ამისა, რადგანაც იყო გულწრფელი გადაწყვეტილება ხელშეკრულობის ლოიალურათ ასრულებისა, მთავრობამ შესძლო ყველა ამ დაბრკოლებათა გადალახვა, 1059 მუხ. ასრულებით საჭირო ცნობების შეკრება თითქმის უკვე დასრულდა მოკავშირეთა კომისიის მიერ ყოფილ ჯარზე დაწესებულია კონტროლი და ზედამხედველობა. ყოველ დღეს ცნობა მოაქვს კომისიების მუშაობათა შემსუბუქების შესახებ. სხვათა შორის, უკვე მიღებულია ჩვენება გერმანიაში დარჩენილ სიმაგრეებზე მყოფ ზარბაზანთა რაოდენობისა და კალიბრის შესახებ. ამ სიმაგრეებს თვალყურს ადევნებს მოკავშირეთა 4 კომისია: გენერალი (დამახინჯებულია) და უმაღლესი კომისია ეხლა იხილავს მანქანებისა და ფაბრიკების სიას, რომელიც დაამზადა გერმანიის მთავრობამ მისატანი იარაღისა და სამხედრო მოწყობილობისათვის.

ბრძანება გაცემულია, რაც კი შესაძლებელია შეუმსუბუქონ კომისიის მუშაობა, რათა ისინი დაარწმუნონ და ზომები მიიღონ სამხედრო მოწყობილობის მოსაწყობათ; გერმანიის მთავრობამ წარმოადგინა სწორი სია, ყველა ქალაქისა და ფაბრიკისა, სადაც ყველაფერმა მშვიდობიანი ხასიათი მიიღო. წარმოდგენილი იქნა სპეციალური მემორანდუმი, სადაც სიზუსტით აღნიშნული იყო მიღებული ზომები. დროებით ზავის მე ვრისთაობიდან დაიწყო 169 მუხ. ასრულება და ბრძოლა უმუშევრობასთან, რომელიც ნედლი მასალის სიმცირემ გამოიწვია. რადგანაც ფეთქების მხრივ დიდი საშიშროება იყო, ამიტომ განადგურებულ იქნა ასაფეთქებელი მასალა, რათა მომავალში ხელი შეეშალათ რაიმე სამხედრო მასალის გერმანიაში შეტანისა და გერმანიიდან გატანისათვის, გერმანიის მთავრობამ 179 მუხ. თანახმად გამოსცა კანონი ზედამხედველი კომისიის დაარსების შესახებ. ხელშეკრულობის ძალით უნდა მოხდეს განიარაღება, ხელშეკრულობის 17 სხვადასხვა მუხლში აღნიშნულია გერმანიის მომავალი ბედი. დღემდის მთავრობა და საზღვაო მოთხოვნილებებს დიდის თავგამოდებით ასრულებდა. მოკავშირეთა საზღვაო საკონტროლო კომისიას, რომელიც 40 აფიცრებისა და მრავალ რიცხვიან მათი თანაშემწეთაგან შესდგება, [illegible] რაიმე დარღვევა ეხება გერმანიის ფლოტის შესახებ დადებულ ხელშეკრულობის ასრულებაში.

ომის გამოცხადების დროს გერმანიის ფლოტში ითვლებოდა 79,856 კაცი. 1918 წლის 11 ნოემბრის შემდეგ, როდესაც დროებით ზავზე ხელი მოაწერეს, დაუყონებლივ დაიწყო დემობილიზაცია, რომელმაც ეს რიცხვი 39,25 კაცამდის დაიყვანა. 10 მარტიდან, 18 მუხ. თანახმად, მეზღვაურთა რიცხვი შეადგენს მშვიდობიანობის დროინდელ მეზღვაურთა რიცხვის 18 პროცენტს. 10 ივლისს იყო 7.999 მატროსი, 10 სექტემბერს 2,999, რომელნიც ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვებზე მუშაობენ, ხელშეკრულებით მოთხოვნილი ფლოტის შემცირება უკვე სრულდება. გერმანიის ძველი ფლოტის დიდი ნაწილი ან გადაეცა მოკავშირეებს, ან და ეხლა სრულებით აღარ არსებობს. დარჩენილი ნაწილი, რომელიც კიდევ უნდა გადაეცეს მოკავშირეებს, იცდის გერმანიის ნავთსადგურებში, რადგანაც ანტანტამ მხოლოდ ამ დღეებში აღნიშნა ის ადგილი, სადაც ეს ხომალდები უნდა მიიყვანონ. 18 დიდ გემ, 114 ნაღმოსან და მრავალ წყალქვეშა ნავიდან დროებით ზავის შეკვრის დროს ზოგმა ასრულა თავისი სამხედრო და ზოგი კი ანტანტამ წაიყვანა. სხვა გემებიდან, რომლის დატოვების უფლებაც გვაქვს, არის ძველი გემები, რომელნიც ომის დროს თითქმის ვერავითარ სარგებლობას ვერ მოგვიტანენ.

გერმანიის განკარგულებაში რჩება ტრალერები ნაღმების დასაჭერად. სამწუხაროთ, ნახშირის ნაკლებობამ საქმეს ხელი შეუშალა. ნახშირი დაეთმო სატრანსპორტო ხაზების და მეთევზეთა ნავებს. კიდევ 26. 99 კვადრატული მილი უნდა გაიწმინდოს ნაღმებისაგან. ეს ადგილი იმყოფება ანტანტის ნაპირების გასწვრივ და ნაღმების სწორი ადგილმდებარეობა ჩვენ არ ვიცით, მათ დაჭერას წინ უნდა უძღოდეს საშინელი ძებნა. ეს გარემოება განსაკუთრებით სერიოზულია იმის გამო, რომ ანტანტამ შეამცირა სანაღმო ტრალერთა რიცხვი, მიუხედავად იმისა, რომ მოკავშირეთა საკონტროლო კომისიას ეს არ მოეთხოვა. გერმანიის ყველა საავიაციო ძალთა დემობილიზაცია ორი თვის განმავლობაში ტექნიკურათ ყოვლად მოუხერხებელი შეიქნა. გერმანიის მთავრობამ ეს დემობილიზაცია დაიწყო ...(შემდეგ რამდენიმე სტრიქონი დამახინჯებულია).. სხვა რამეს არ შეუძლია შეცვალოს დამტკიცებული ფაქტი ჩვენი საზღვრის სისუსტისა. მიუხედავად ამისა, მთავრობა ასრულებს ყველაფერს, მხოლოდ დაიტოვებს მას, რაც აუცილებელია ჩვენი საზღვრების დასაცავად. ახლა ხანში საზავო ხელშეკრულობის ასასრულებლად ჩვენი საავიაციო ძალები გამოიტანება 8 საავიაციო პარკში და ერთი მოსაზღვრე ესკადრონში. ეს რიცხვი ისეთი მცირეა, რომ [illegible] ბელი იქნება მას [illegible] ბილი ვუწოდოთ.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 საათზე, ცენტრალურ კომიტეტის ბინაზე დანიშნულია ს. ს. დ. მ. პ. საცენტრალო კომისიის სხდომა. სთხოვენ წევრებს: კ. ანდრონიკაშვილს, კ. ნინიძეს, ზ. გურულს, ა. ქიაჩრაშვილს, ვ. ცხაძეს, გ. ზახტაძეს, გ. კოპალეიტაძეს, კ. ჭუმბურიძეს, სალაყაიას, ნოდიას და ყველას, ვისთვისაც მოსახერხებელია ამ დღისათვის ჩამოსვლა, უსათუოდ გამოცხადდნენ.

◆ **მატარებლის გაცარცვა.** 7 მარტს სადგ. კობერის ახლო გაუძარცვავთ სანაპიროდან სოხუმისაკენ მიმავალი მატარებელი. ამ მატარებლით მიემგზავრებოდა ადერბეიჯანის წარმომადგენელი, რომლისთვისაც 5,400,000 მან. წაურთმევიათ. ბოროტმოქმედნი 20-დე კაცი ყოფილა.

◆ **კომუნისტური აგიტაცია განჯაში.** განჯიდან შემდეგს გვწერენ: განჯაში ამ ბოლო დროს ვრცელდება კომუნისტური პროკლამაციები ქართულ და რუსულ ენაზე, რომლებიც საქართველოს მთავრობის წინააღმდეგაა მიმართული. პროკლამაციებში აღნიშნულია, თითქოს საქართველოს მთავრობა ომს უცხადებს აზერბაიჯანის მუსულმანებს და ძალით სურს ამ მხარის შემოერთება.

◆ **დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნები აფხაზეთში.** 7 მარტს, დამფუძნებელი კრების ცენტრალურ საარჩევნო ქვეკომისიაში შეტანილ იქნა აფხაზეთის ნაციონალ დემოკრატებისა და უპარტიოთა სია. ცენტრალურ ქვეკომისიამ ზოგიერთი შესწორებები შეიტანა სიაში და წინადადება მისცა ხსენებულ ორგანიზაციებს სიების ფორმალური შევსების შესახებ. 9 მარტს ქვეკომისიამ სია გაუგზავნა დასამტკიცებლად ცენტრალურ კომისიას. დანარჩენი ძველი სიები რჩება.

◆ **დაზარალებულთა დასახმარებლად.** 15, 16 და 17 მარტს, მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე [illegible]-მრეწველთა მთავარი კომიტეტის წევრნი ჩამოივლიან ქალაქ თბილისის სავაჭროებს და სამრეწველოებს შემოწირულების შესაგროვებლად.

◆ **აფხაზეთის კომისარიატის სტიპენდიანტები.** განათლების კომისარიატმა გადასინჯა სტუდენტ სტიპენდიანტთა სია. დადგენილ იქნა ზოგიერთ სტიპენდიანტებს არ მისცენ დახმარება, ზოგს შეუმცირონ და ზოგსაც დაუტოვონ ძველი სახით.

◆ **სახელმწიფო თეატრი.** დღეს, [illegible] ბენეფისი „დიდი ხვე-

---

რევოლუცია და მწერლობა

„ცისარტყელა" №№ 1—2.

ცისარტყელა გამოჩნდა წარღვნის შემდეგ, როგორც დაბადება გვამოწმებს. გამოჩნდა კარგი ამინდის მომასწავებლად.

რევოლუცია ერთგვარი წარღვნაა. მისი მძლავრი ტალღებით უნდა გადაილეკოს საზოგადოებრივი ჭუჭყი და უწმინდურება. ამისთანა წარღვნასაც საბოლოოდ უნდა მოყვეს კარგი დარი. ამას გვპირდება ჩვენი ახალგაზრდა ჟურნალიც.

მის მოკლე წინასიტყვაობაში ვკითხულობთ:—„კაცობრიობის შემოქმედება ანთებულია ღვთიური ცეცხლით, ის არღვევს ძველს და ქმნის ახალს... იქმნება ახალი პერსპექტივები, იქმნება ახალი სამყარო. დიდია თავისი შინაარსით ეს დრო და განუმეორებელია მისი კოსმიური [illegible]".

ავტორების სამართლიანი შენიშვნით ეს მშვენიერება უბრალო და მიუწვდომელი უბრალო მომავლისთვის. შორსმხედველობა უნდა იქონიოს ამიტომ ხელოვნებამ ამისი ხელმძღვანელობით უნდა გაიშალოს „[illegible] გარდაქმნის [illegible]" და... „გზა ქაოსიდან კოსმოსისაკენ".

„ცისარტყელის" დასახავს ეს დიდი მიზანი: ის ცდილობს ავიდეს უმაღლეს საფეხურზე და იქ დაინახოს ქვეყნიერება, იქიდან გადმოშალოს ახალი დრო. ამ მიზანს აქვს მართლაც საკაცობრიო მნიშვნელობა.

ხოლო წინ ეს დიდი განზრახვა. არ ვიცით ის ხელოვნება, რომელიც თავს იმეოებს სტრიქონებში, ტრიოლეტის პატარა საქმეების გარშემო, არწივივით ფრთებს ვერ შლის და ვარსკვლავებისაკენ ვერ მიისწრაფვის. ნამდვილი ხელოვნება უნდა იხატავდეს ამ საზიარო მიზანს, ძალიან რომ არ შესწევდეს მიაღწიოს. ეს ძალა კი სულგარეშე არ არის დაფარული. რევოლუციის დროს ხელს ვერ უწყობს შემოქმედებას. აქ ხელოვნების ალმაფრენ ფრთას ეკვეცება რევოლუციის თანამედროვე მწერლებს არასოდეს არ შეუქმნიათ დიდი ნაწარმოები. ქარიშხლის შემდეგ, როცა ახალ თუ ის თავისუფლად ღელავს პროცესი და ახალი ხანა იწყება თავს. ვერ შექმნა დიდი მხატვრული ნაწარმოები, ამ რევოლუციის დროს, სხვათა შორის, ვერც რუსეთის მწერლობამ. ლენინის მთავრობა არ ზოგავს არავითარ საშუალებას ხელოვნების ასაყვავებლად. მაგრამ ყველა შეკრული კომისიები, წრეები უბრალო კანცელარიებით გადაიქცნენ. ვერ დავინახეთ იქ ვერც ერთი საყურადღებო ახალგაზრდა შემოქმედი. საბჭოთა მთავრობის გარშემო თავი მოიყარეს პატარ-პატარა საეჭვო მწერლებმა. ხელოვნება გამოიყენეს საქმის მოსახერხავ ქოთნათ, შემოსავლის წყაროთ, კვეხის ამოსავსებით, მიჯოლის ვენერა ძირს ჩამოიღეს. ამას დაარქვეს პროლეტარული ხელოვნება და საეჭვოთ გამოიტანეს შუა ბაზარზე. ლენინი გაიძვერა მ თრახი. ყველაფერი, რასაც აქ ვხედავთ, რასაც პროლეტარიატის ხელოვნებით სთვლიან, ცარიელი სიძველობაა, სხვა არაფერი.

დიდ მწერლობის ხელშიაც ჩაქრენ იქ დღეს ჩირაღდნები. ზოგმა თავისი ნიჭი მიიტანა საბჭოთა მთავრობის წინ და ასწყო მარტო ქებათა-ქების სიმღერა. ცნობილი ალ. ბლოკის ახმაურებული, უკეთ ვთქვათ აყვირებული („Двенадцать") პოემა ვერ აღწევს უმაღლეს მწვერვალზე ის არ ისახავს ამ დიდ მიზანს. ის მარტო შთაბეჭდილებით არის გატაცებული, თ ყვინცემს გარემოს და გზას ვარსკვლავებისაკენ ვერც ხედავს, არც ეძებს.

ხელოვნება არ არის მარტო შეუძლია, ყველაფრის მხედველი. მის მთავარი დანიშნულება არის ძიება. „ცისარტყელას" შემოქმედებითი ძალღონეც აქეთ არის მიმართული.

შეუძლიათ თუ არა ეს ძალღონე მიზნის სიმაღლეს? პირველი ნაბიჯების მიხედვით ამ კითხვით ხიზანს ვერ გავსცემთ. კითხვა ჯერ ღიათ დაგვრჩება. ი. გომართელი ამბობს,—ვინ უნდა იყუროს წინ შორს, ვინ უნდა გრძნობდეს ამ მომავლის ფერა პულსი? და ეს მკვეთრად მორალური „ცისარტყელის" პოეზიას. ის უყურებს შორს, მაგრამ თვალი არ ყოფნის, მიჰქრის სრულად, და რთული ეკრანება. ეს იწვევს ტანჯვას, თითქმის უიმედობას და ეს სულიერი ტკ ვილი ჩაქსოვილია ამ პოეზიის შეთვისებაში.

ჯერ:

— „წამიყვანს სივრცე. მომაშორებს
მიწის შეხებას.
თვალებს ამივსებს ჭრელ ოცნებით ფუქრი ამაზე
გაშლის პირი მთვარის შუქს ცივ ამხედებას,
და მიწა შორით გამოჩნდება ვით ოაზისი..."

ბოლოს:

„უცებ იღვებს ჩემში გრძნობა ოხერ ტიალის:
ცაში დავკარგავ ძლიერებას ვით ანთეოსი,
და შემაშინებს ვარსკვლავთ შორის მოხეტიალეს
უსაზღვრო სივრცის ანთებული პათოსი.
შორით მიიყურობს შემკრთალ თვალებს მთათა გრეხილი.
და გაყინულ შიშის მომაკვდავ ცათა მეუფეს.
ძირს დავეშვები, ვით დემონი ფრთა მოტეხილი,
და ცრემლი წარეცხს ჩემს თვალთაგან შიშ დაკრულ ფერს."

აი ორი უკიდურეს—სინამდვილე და იდეალი, დედამიწა და ცის უსაზღვრო სივრცე. ადამიანი მიჯაჭვულია ამ სინამდვილესთან ათასი ნაგით. ცდილობს ამ ჯაჭვების დამსხვრევას, უნახავი მშვენიერების ნახვას, და... ფრთა ტყდება, ისევ ძირს ეშვება.

ძირს ამ სინამდვილის რკალებში პოეტი იღლება, ვეღარ იბრძვის მშვენიერებისთვის. შორეულ სივრცისკენ ის ახლა იყურება გულ გატეხილი. ოცნებითაც არ ცდილობს ამ სივრცესთან შეერთებას. შორეულ იდეალს ახლა შორიდან უყურებს და ამ ყურების მოთმინებაც ეკარგება:

„და დახსს ვაწვალე მოქანცული თვალი ლოდინით
მაგრამ ზღვის სივრცემ არ მაჩვენა არც ერთი ნავი
თანდათან კეშით გადამექცა ცივი ლოდინი,
და მეც იმედი მძიმე ლოდ ქვეშ დავაბინავე".

პოეტი გაურბის ახლა სინამდვილეს, შორეულს კი ვერ სწვდება. ეს შორეული მისთვის ნისლით და ღრუბლებით არის დაფარული, ამ სიღრმეებისა წინ ის „მკვეთრი იშლება", სიხარულს არ ელის. ეშინია ამ ქარიშხლის, რომელიც მერხევს ამ სინამდვილეში. მშვენიერებას აქვს ვარდისფერ დაბინდული სურათი. მაგრამ ის თითონვე გაურბის თავისი ოცნებით წარმოდგენილ სინამდვილეს, ანდრეევის გმირივით (МОИ ЗАПИСКИ) კარს იკეტავს.

—„მიდი დაჰკეტე არ გააღოს გრიგალმა კარი,
არ შემოიჭრას ჩვენს ოთახში საშინელება.
ნუ გახვალ გარეთ, მოდი ჩემთან, მკერდს მომეკარი,
ოჰ, ღმერთო ჩემო, რა მოგველის, რა გვეშველება"!

ამ პოეზიას, როგორც გომართელი ამბობს, „ატყვია დიდი წარსული, დიდ რეული ცხოვრების ამ ლექსში არ სჩანს მომავლის გრძნობა, პოეტი ვერ გრძნობს, რომ საშინელი ქარიშხალი თავმდებია მშვენიერი ამინდის.

შორეულის ძიებით არ არის გატაცებული დუთუ მეგრელიც. ის მიღწეულით თვლის თავის იდეალს. ხედავს განთავისუფლებულ საქართველოს და განცდის სულის კვეთებას იმ მოხუცისას, რომელმაც შეხედა დაბადებულ იესო ქრისტეს და გულდამშვიდებით თქვა—აწ განუტევე მონა შენი მეუფეო... დუთუ მეგრელიც თითქოს „უკანასკნელი ნატვრით ათავებს თავის პოეტურ ძიებას:

— ...„და შენიერსა, მიღწეულს სანატრელს სულის
უკანასკნელათ მხოლოდ ერთი ეს მენატრება,
რომ არ ესმის საქართველოს კვლავ ქამი წყენის".

აწმყო და მომავალი გაერთიანებულია ამ მგოსნისთვის, იდეალი სინამდვილეთ არის გადაქცეული და სინამდვილე იდეალათ.

მიღწეულით მიაჩნია ვითომ საბოლოო მიზანი გ. რობაქიძესაც. ის მღერის და სხვებსაც ამღერებს:

— ნუ დამახსოვრებთ მოლოდინის სახეს,
მოდით, ავყვავდეთ დღეს ჩვენის მთაზედ".

ამ „სიმღერას" ვერ ეკარება ის „მწუხარება", რომელსაც იქვე გამოსთქვამს მგოსანი:

—„ვერ მივწვდი მიზანს, სიზმრით ნახულსა,
თუმცა შავ ბედს ქედი არ მოვუხარე
ზღვა ყოფ არის! მიწა უცნობია!
აუხსნელია ყოფნის ზღაპარი!
ეჰ, სულო ჩემო, შავის უკუნის,
არა გაქვს არხად თავ შესაფარი!"

იქნება სხვადასხვა დროისაა დაწერილი ეს ორი ლექსი, და ამით აიხსნება სავადასხვა გვარი კილო, მაგრამ სიხარულშიაც, მწუხარებაშიაც მგოსანს აქ ეტყობა ერთი თვისება. ის ბოლომდის ეძლევა, ემორჩილება შთაბეჭდილებას. სიმღერის დროს მას გულს ვერ დრუბლავს მოულოდნელი მომავალი და მწუხარების დროს გულს ვერ უმშვიდებს მოსალოდნელი უკეთესი დღე. ამ თვისებით აიხსნება, რომ მისი პოეზია არ არის ერთფეროვანი. ის მრავალფეროვანია ისე, როგორც თითონ სინამდვილე. ერთი მხრივ, გატაცებული საქართველოს განთავისუფლებით მგოსანი მღერის:

„დე, ვისაც გული ნაღველმა დაჰბრა,
აწ ნეტარების ცრემლი დაღვაროს!"

მეორე მხრივ იმავე სინამდვილეში ხედავს, რომ ტანჯვა-კვნესა არ გამოლეულა, და ამ მოვლენებს ის ეგებება კითხვითი ნიშნებით. სინამდვილეს არ შორდება არც ერთი ნაბიჯით. მისი სიმებიდან გამოისმის იმედიც, უიმედობაც, ეჭვიც... არც ერთ შემთხვევაში სიმების ხმა არ სწყდება, შემოქმედების ძალა არ კლებულობს, ფრთა არ ეკვეცება.

კარჩაკეტილობა არ უნდა პოეტს, როცა გრძნობს სინამდვილის რყევას. არ ეშინია, არ თრთის, არ კანკალებს, თავის მეზობლივით, არ შეჰკითხავს, რა გვეშველება, რა მოგველისო, როცა ყურს უგდებს „მიწის გუგუნს და მიწის ზანზარს".

— მე ისე მიყვარს განწმენდის ცეცხლი, რომ ჩემი სული ცეკვავს, ხარხარებსო".

მრავალფეროვანია გ. ქუჩიშვილის პოეზიაც. ის ნამდვილი შვილია სინამდვილის. ეყურება ლხინსაც და კვნესასაც, თითონ არ ეძლევა არც უზომო სიხარულს, არც უზომო ნაღვლიანობას. ანგელოზივით ცისკენ არ მიფრინავს და დემონივით ძირს არ ეშვება. „[illegible] ათიებულ მშვენიერებას" ის ხედავს აქვე, დამითაც ხედავს. ის არ არის მისთვის ცხრა მთას იქით დაკარგული, უმაღლეს სივრცეში გაფანტული, ის სინამდვილესთან დგას ახლოს, არ არის მიუწდომელი. ქუჩიშვილის პოეზიას არ ეტყობა მარტო მოლოდინი, ეტყობა მოქმედების, ბრძოლის სურვილიც. სწამს, რომ

— „ვეღარ გაუძლებს ყორანი,
ზღვა ხალხის მღელვარებასა".

ის „ეხვევა", „გულში იხუტებს" თავის იდეალს და „იბურება სათმრათ შავეთ", როცა გრძნობს, რომ ამ იდეალს საფრთხე მოელის.

მებრძოლის კილოს ვერ ვამჩნევთ ობოლი მუშის პოეზიაში, მისი „მ ვენერე სული" მიყვება ჩასულ მზის სხივებს, ვერ სძლებს სინამდვილის „ბრჭყალებში", იდეალთან მიახლოებაში ვერ იჩენს ქუჩიშვილისებურ გამბედაობას. ის... ევედრება, სთხოვს:

— „გადმოშალე ვედრებით დაჭრილ გულის წყლულები
და შევეხოვე მომავლის სხივთა ნაკადულები".

იდეალი მისთვის შორეული, ყოვლის შემძლე ღვთაებაა. ამ ღვთაების ძალით უნდა გარდაიქმნას „დიდი მიწა მშობელი". ამ იდეალის სახით და მგზავსებით უნდა შეიცვალოს ეს სინამდვილე. ასე მოესმის პასუხათ, შორიდან, როცა ის ათავებს თავის ვედრებას. ის ხედავს მარტო მხსნელს და სამსხვერპლოს. ევედრება ამ სამსხვერპლოს, რომ იქმარის მ ხვერპლი. ვერ გრძნობს, რომ ეს სამსხვერპლო უნდა დაიმსხვრეს. ეს არის განმარტოვებული ობოლი სულის კვნესა. სულ სხვაა იმავე პოეტის გრძნობა, როცა ის უერთდება „შრომის ტალღებს". აღარ განიცდის მარტოობას იქ, სადაც „ერთი ათათა აზრი, და მანქანებიც ერთ ჰანგზე მღერის". მაშინ:

— მომავლის არეს მიგვაფრენს სული,
გვსურს ხილვა სატრფოს, პირმშვენიერის"!

მშვენიერებისკენ მისწრაფვებას აძლევს „შრომის ქარიშხალი". პიროვნება ძლიერია, როცა ის ამ ქარიშხალშია გახვეული და თავისი წვლილი შეაქვს იმ სამჭედლოში, სადაც „იჭედება ძლევის მახვილი".

ორი სხვა და სხვა ნაირი კილო. აქ არ სჩანს შემაერთებელი ძაფი, ვერ ვამჩნევთ მხატვრულ მთლიანობას. ეს მრავალფეროვანი არ არის ერისა და იმავე სიმებზე ჩამოწყობილი. პოეტი ხელოვნურათ შორდება იმ სივრცეს, რომელსაც უფრო შეეფერება მისი ბუნება, და თითქოს დასასვენებლათ გადადის მეორე სივრცეში, სადაც

ნის ცხოვრებია". სამშაბათს, „სინათლე", ოთხშაბათს, 17 მარტს სტაროსტინის მონაწილეობით „ლაკმე".

◆ **სკოლები აფხაზეთში.** განათლების სამინისტროს წინადადებით განათლების კომისარიატმა დაამზადა აფხაზეთის ყველა ეროვნების სკოლების სია რომელთა შენახვა ჯერ კიდევ არ მიუღია ხაზინას. ამ დღეებში ეს სია გადაეცა სამინისტროს, რომლის აზრით ხსენებული სკოლების ხარჯები საერთო ხარჯთ აღრიცხვაში უნდა იქნას შეტანილი.

◆ **ახალი წიგნები.** რედაქციამ მიიღო: მთავრიშვილის ამხანაგობის გამოცემა—„სიტყვიერების თეორია", სახელმძღვანელო წიგნი კათალიკოსს კირიონ მე II და გრ. ყიფშიძის მიერ შედგენილი, მესამე გამოცემა. წიგნი 94 გვერდს შეიცავს და ღირს 25 მანეთი.

— ამ დღეებში გამოვა ამავე მაღაზიის გამოცემა „თამარ ცბიერი". თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზია სთხოვს ქართული წიგნების ყველა გამომცემელს, რათა თვითეულმა მათგანმა კეთილ ინებოს და გამოუგზავნოს ხსენებულ მაღაზიას ათ-ათი ცალი ახლად გამოცემული წიგნისა ამ ადრესით. ქუთაისი, მთავრიშვილის ამხანაგობის წიგნის მაღაზიას.

◆ **ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ:** იმ „რაჭა-ლეჩხუმის განსაკუთრებულ რაზმს" რომელიც თფილისში შესდგა 1918 წელს, და რაჭა-ლეჩხუმში გაეშურა არეულობის დროს წესიერების აღსადგენად, არავითარი კავშირი არა აქვს თფილისში შემდგარ „თფილისის დამცველ რაჭა-ლეჩხუმ სვანეთის რაზმთან" და მის საზოგადოებასთან. „რაჭა-ლეჩხუმის დამხმარე კომიტეტის" სახით და მეორე „რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის კულტურულ ეკონომიური საზოგადოების" სახელწოდებით, რომლის თავმჯდომარეა ევგენ დვალი.

კრებები.

დღეს, საღამოს 9 საათზე ქალაქის თვითმართველობის დარბაზში შესდგება მუნიციპალურ მუშა-მოსამსახურეთა ყრილობის დელეგატთა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის კრება.

— მუნიციპალურ მოსამსახურეთა ყრილობა გაიხსნება სამშაბათს, 16 მარტს, დღის 12 საათზე, საბჭოს დარბაზში.

მუნიც. მუშა-მოსამს. ყრილობის გამო

ამ თვის 15, ქ. თფილისში იხსნება რესპუბლიკის მუნიციპალურ დაწესებულებათა მუშა მოსამსახურეების პირველი ყრილობა.

ქალაქის თვითმართველობები და ერობები (განსაკუთრებით უკანასკნელნი) ჩვენში ახალგაზრდა ორგანიზაციები არიან. ეს ორგანიზაციები გვიანდერძა ჩვენ რუსეთის დიდმა რევოლიუციამ. მათი ძალა-უფლება გააფართოვა ჩვენი რესპუბლიკის სუვერენმა ორგანომ დამფუძნებელმა კრებამ. თუ დღემდე მათ თვითმართველობის ფუნქციები ჰქონდათ მინდობილი, დღეს ისინი მმართველობის ორგანოთ გადაიქცენ. მათ ნაყოფიერ მუშაობაზე დამოკიდებული თუ როგორ სახეს მიიღებს ჩვენი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის მსვლელობა, ამიტომ ამ ორგანიზაციებისაკენ არის დღეს მიპყრობილი მთელი ერის ყურადღება.

თუ გაკეთდება ჩვენში რამე, ან სოფლად და ან ქალაქად, გაკეთდება სწორედ ამ დემოკრატიული ორგანოებით. ჩვენ კარგად ვიცით, რომ არც მთავრობას და არც სამინისტროებს, როგორი დემოკრატიული და სოციალისტური უნდა იყვნენ ისინი, არ შეუძლიათ სახელმწიფოს მოხდენა, ყველაფრის მოწესრიგება. თვით ხალხს, თვით დემოკრატიას, რომელიც თავს იყრის ერობებისა და თვითმართველობის გარშემო და რომლის ძალაზე, ენერგიაზე და შეგნებაზე დამოკიდებული ამ ორგანოების ფეხზე დაყენება, განაყოფიერება და გაძლიერება. ჩვენ გვწამს, რომ ჩვენი დემოკრატია ამას შეძლებს.

ჩვენ გვწამს, რომ გზა დემოკრატიზმით—სოციალიზმისაკენ ერთად-ერთი სწორი და უტყუარი გზაა და სწორეთ ამიტომ ვცდილობთ დემოკრატიული ორგანოების გაძლიერებას.

ერობებსა და თვითმართველობებს დიდი მომავალი აქვთ და სწორეთ ამიტომ არ შეგვიძლია უყურადღებოთ დავტოვოთ მუშა-მოსამსახურეთა ის დარგი, რომელიც თავს იყრის დღეს ამ დაწესებულებებში და აწარმოებს იმ ყოველდღიურ აღმშენებლობით მუშაობას, რომელიც აუცილებელია ამ ნორჩი დაწესებულებათათვის. დღეს ეს შრომა აწარმოებს მეტად მძიმე ეკონომიურ პირობებში, მაგრამ მიუხედავათ ამისა ისინი მტკიცეთ განიგრძნობენ დემოკრატიისადმი სამსახურს. მათ იციან, რომ ხალხს ემსახურებიან, იმ ხალხს, რომელსაც ეხლა საქმე გაჭირვებული აქვს. ეს აძნელებს მათ. ისინი დაიმედებული არიან, რომ შორს არ არის ის დრო, როდესაც დემოკრატია წელში გასწორდება და ჯეროვნათ დააჯილდოვებს მას, ვინც მისთვის ამდენი გასაჭირი გადაიტანა.

მუნიციპალურ მუშა მოსამსახურენი, როგორც იმ რგოლით, რომელიც მუნიციპალურ დაწესებულებებს აქვთ მიკუთვნებული ჩვენი ცხოვრებისაგან, ისე თავისი მრავალ რიცხოვნობით დიდი ყურადღების ღირსნი არიან.

მუშა მოსამსახურეთა ამ დარგს ჯერ ეხლაც კი მეორე ადგილი უჭირავთ რიცხვით ჩვენი რესპუბლიკის მუშა-მოსამსახურეთა შორის (რკინის გზელების შემდეგ) შემდეგ კი მათი რიცხვი იმატებს იმდენათ, რამდენათაც გაიზრდებიან და გაძლიერდებიან თვით ერობები და თვითმართველობები.

ხსენებულ პირობას ზოგი თავისებური საკითხები აქვს, როგორც ორგანიზაციული ისე პრინციპიალური. მდგომარეობა მით უფრო რთულია, რომ მათ არა აქვთ არავითარი წარსული გამოცდილება, არავითარი ტრადიცია, რაც თვალსაჩინოთ გაუადვილებდა მათ მუშაობას. საქართველოში ამ დარგის მუშა-მოსამსახურეთა მუშაობას ჩვენ სამწუხაროდ ნაკლებათ ვიცნობთ, თუმცა იქ სულ სხვა პირობებიც იყო ამისთვის. რუსეთის მუნიციპალიტეტებს კი რევოლიუციამდე ფიქრიც არ შეეძლოთ რაიმე შეკავშირებაზე, რევოლიუციის შემდეგაც არ დასცალდათ. მათ თავისუფალ არსებობას მხოლოდ 8 თვის ისტორია აქვს. ამ ხნის განმავლობაში მათ შესძლეს მხოლოდ ერთი ყრილობის მოწვევა, მაგრამ ბოლშევიკებმა ისე მალე მოუსწრეს მას, რომ ყრილობის ნამუშევარიც კი დაიღუპა. მუნიციპალურ მუშა-მოსამსახურეთ [illegible] ყველაფერის ეხლა შექმნა და რუსები რომ იტყვიან „ოშიბკით" სიარული.

კითხვას ართულებს ყველაზე უფრო ის შრომის სხვადასხვაობა და მრავალფეროვნება, რომელსაც ადგილი აქვს განსაკუთრებით თვითმართველობებში, მაგრამ იმედია, რომ ჩვენი ნორჩი ორგანიზაციები ხელს შეუწყობს და გზას გაუხსნის ის საერთო სწორი დემოკრატიული გზები, რომლის წყალობითაც გადარჩა დღეისავ ჩვენი ქვეყანა და ლამის არის სამშვიდობოზე გავიდეს ჩვენი სახელმწიფოებრივი ნავი ეს გზა არის გზა დემოკრატიზმისა—სოციალიზმისაკენ.

ჩვენი იდეალი სოციალიზმი შორიდან გამოიყურება, მაგრამ ის ნათლად მოსჩანს. ჩვენ უნდა ვეცადოთ სწორ გზას არ ავცდეთ, რომ უფრო არ დავშორდეთ დასახულ მიზანს.

დღემდე ჩვენი გამარჯვება იყო იმაში, რომ ჩვენი მუშათა კლასი ამ სწორ გზას ადგა. იმედია არც მომავალი ყრილობა ასცდება ამ ძველ მაგრამ სწორ და ნაცად გზას.

ვუსურვებთ ყრილობას ნაყოფიერებას და აღმაშენებლობით მუშაობას. ვუსურვებთ, რომ მათ თავის ინტერესებთან ერთად ერთ წუთსაც არ დაივიწყებოდეთ ის, რომ ისინი დემოკრატიის ემსახურებიან.

არა ბრძოლა და ქიშპობა, არამედ ამხანაგური თანამშრომლობა. აი რა უნდა იყოს აღბეჭდილი ყრილობის დროშაზე.

შ. აბდუშელიშვილი.

უცხოეთი

დაღესტანი.

თურქები და ბოლშევიკები. თანდათან ნათელი ეფინება ბოლშევიკებს და თურქებს შორის დამოკიდებულებას დაღესტანში. მათ შორის უკანასკნელ ხანებში რამდენჯერმე შეიარაღებულ შეტაკებას ჰქონდა ადგილი. თურქების მომხრეები თავს დაესხნენ მაჯალისს, სადაც ბოლშევიკები იყვნენ დაბანაკებული. ბოლშევიკები გაფანტეს. მთიელთა დამცველი კომიტეტი ამ ბრძოლაში შეურიგებელ პოზიციას იკავებს; კომიტეტის თავმჯდომარემ შესაფერი მოწოდება გამოსცა, სადაც იგი წინადადებას აძლევს მებრძოლ მხარეებს დასტოვონ დაღესტნის ტერიტორია, თუ ისინი თავს არ დაანებებენ ურთიერთ შორის ბრძოლას; დაღესტანში დარჩენის უფლება მხოლოდ იმათ აქვთ, ვინც ხელს შეუწყობს დაღესტნის დაცვას დენიკინის შავ რეაქციისაგან. მიღებულია ზომები დაღესტნის ყოველგვარ ავანტიურისტებისაგან განსათავისუფლებლად. (ვგ. ბ.")

მთიელთა მთავრობა. ჩრდილო კავკასიის დამცველ კომიტეტს და პარლამენტის დეპუტატებს განზრახვა აქვთ მალე შეადგინონ მთიელთა რესპუბლიკის ახალი მთავრობა.

უმაღლეს „კრუგის" დელეგაცია და ინგუშები. უმაღლესი „კრუგის" წარმომადგენლებმა ინახულეს ინგუშთა მეჯლისი და მასთან მოლაპარაკება ჰქონდათ; წარმომადგენლებმა აღუთქვეს ინგუშებს ავტონომია და იარაღის მიცემა, თუ თავის მხრივ ინგუშები ნებას დართავენ შეკრებილ იქნეს ინგუშეთში „მოხალისეთა" რაზმები. ინგუშებმა უპასუხეს, რომ ისინი მოითხოვენ ცნობილ იქნეს მთიელთა დამოუკიდებელი რესპუბლიკა. მოლაპარაკებას არავითარი დადებითი შედეგები არ მოყოლია. (ვგ. ბ.")

უთანხმოება კომუნისტებს შორის დაღესტნის კომუნისტებს შორის თავი იჩინა სერიოზულ უთანხმოებამ. იბრძვის ორი ფრთა—რუსეთისა და ადგილობრივი კომუნისტები. რუსეთის კომუნისტები მოითხოვენ, რათა მთიელთა რესპუბლიკა ფედერატიულად შეუერთდეს რუსეთს; ადგილობრივი კომუნისტები მომხრენი არიან რესპუბლიკის დამოუკიდებლად არსებობისა. (ვგ. ბ.")

ამერიკა.

შეერთებულ შტატების მუშები. ამერიკის შრომის ფედერაციამ, რომელიც აერთიანებს 3 მილიონ მუშას, გადასწყვიტა მიიღოს მხურვალე მონაწილეობა მომავალ საარჩევნო კამპანიაში. ფედერაციამ გამოუშვა მოწოდება, რომელშიაც ის ბრალს სდებს კონგრესს უმოქმედობაში, უკანასკნელი თავის მოქმედებით ხელს უწყობდა რეაქციონურ პოლიტიკის გაძლიერებას. დაარსდა მუშათა კომიტეტი სადაც შევიდნენ 25 მუშათა ორგანიზაციის წარმომადგენლები, მათ რიცხვში 4 ქალია. კომიტეტს თავმჯდომარეობს გომპერსი. კომიტეტის მიზანია ტრედ-იუნიონისტების მობილიზაცია მოახლოებულ და ნოემბრის არჩევნებში ისეთი კანდიდატები გაიყვანონ, რომლებიც ერთგული დამცველნი იქნებიან მუშათა პროფესიონალურ მოძრაობისა.

ინგლისი.

ლოიდ ჯორჯის სიტყვა. თემთა პალატაში 11 თებერვალს ლოიდ ჯორჯმა წარმოსთქვა გრძელი სიტყვა ინგლისის შინაურ და საგარეო პოლიტიკის შესახებ. შეეხო რა მუშათა პარტიასთან კოალიციის საკითხს, ლოიდ ჯორჯმა, სხვათა შორის, აღნიშნა, რომ ჩვენ იგეთი სერიოზული საკითხები გვაქვს გადასაწყვეტი, რომ ამ ჟამად ჩვენთვის არ არსებობს პარტიული განხეთქილება. მუშათა პარტია ძლიერდება, მისი ორგანიზაციები დიდ აქტიობას იჩენენ. მთავრობის წევრები დაინტერესებული არიან ზავის შეკვრის საკითხით. წინათ მთავრობის წევრები მონაწილეობას იღებდნენ პარტიულ კონფლიქტებში და ასეთ კონფლიქტების შექმნას ხელსაც კი უწყობდნენ. ამ ჟამად მთავრობას არ შეუძლიან ასეთ გზას დაადგეს: ლოიდ ჯორჯი ეხება აგრეთვე რუსეთის საკითხს და აღნიშნავს, რომ მთელი ინგლისის ჯარები გამოყვანილი არის რუსეთიდან, მხოლოდ ბათუმში სდგას რაზმი, რომელიც ახლო მომავალში იქნება გამოყვანილი. ჩვენგან მოითხოვდნენ ამ ჯარების დატოვებას დამოუკიდებელი რესპუბლიკები: საქართველო და აზერბეიჯანი, ჩვენ იმ აზრის ვიყავით, რომ არ შეგვიძლიან ამ ბათალიონების დატოვება ბათუმში, რომელიც ტყვილ უბრალოდ ხარჯებს იწვევს, ეს ბათალიონები გაგზავნილი იქნებიან კონსტანტინეპოლში, სადაც ისინი საჭირონი არიან. რაც შეეხება რუსეთთან დამოკიდებულებას, აქ საჭიროა ფაქტებს გავუწიოთ ანგარიში მიუხედავათ ამისა, მისაღები იქნება იგი ჩვენთვის თუ არა.

რა ხდება რუსეთში? პირველ ყოვლისა მე ვეთანხმები თემთა პალატის იმ წევრს იმაში, რომ ევროპაში არ დამყარდება ნორმალური მდგომარეობა, ვიდრე არ იქნება გამოყენებული რუსეთის სასიცოცხლო ძალები და სიმდიდრე.

რასაკვირველია, როგორც დასავლეთს, აღმოსავლეთს ურჩევნია სხვა რეჟიმთან დაამყარონ დამოკიდებულება, ვიდრე ბოლშევიკებთან. ასეთივე შეხედულებისა არიან ამერიკაში. ბოლშევიკურმა მეთოდებმა ააოხრეს მთელი კონტინენტის სინდისი. ის ძარცვა რბევა, რომელიც ბოლშევიკურ მეთოდების არსებას შეადგენს, მიუღებელია ევროპისათვის. მოკავშირეებს არ შეუძლიათ დაივიწყონ ბოლშევიკების ღალატი ბრესტ-ლიტოვსკში. უმთავრესი არის [illegible] ბოლშევიზმში არ არის [illegible] რადგანაც მართველობა [illegible]. უკანასკნელი ორატორთაგანი მაკლინი ამბობდა, რომ შეუძლებელია აზრის წინააღმდეგ გალაშქრება, ეს მართალია. მაგრამ პირველმა სწორედ ბოლშევიკებმა გამოუცხადეს ბრძოლა საზოგადოებრივ აზრს — დამფუძნებელ კრების გარეკით. არ არის არც ერთი დემოკრატია მსოფლიოში, რომელსაც არ სურდეს ბოლშევიკების დამხობა, მაგრამ არც ერთი კაცი არ დაიწყებს ეხლა იმის მტკიცებას, რომ შეიძლება იარაღის საშუალებით ბოლშევიკების დამხობა. მე ამ აზრის ვიზიარებდი შარშანაც და შევეცადეთ ორ მოწინააღმდეგე ძალების შერიგება, მაგრამ ეს შეუძლებელი გახდა. უნდა მივიღოთ მხედველობაში ის, რომ ბოლშევიკებს დიდი ძალი შეიარაღებული ძალა ჰყავს, რომელთაც მეთაურობენ ჩინებული მეთაურები. შემდეგ ლოიდ ჯორჯი ეხება რა მოხალისეთა ლაშქარს, აღნიშნავს, რომ მან გადაიტანა მცხოვრებლები. ომი რომ გაგრძელდეს რუსეთში, ბოლშევიკები გადაიქცევიან უკიდურეს მილიტარისტებათ და ჩვენ ხომ ეს არ გვსურს? შესაძლებელი იყო ბოლშევიკებისათვის ალყა შემოგვერტყა, მაგრამ ბალტიის სახელმწიფოები მათთან კავშირს ჰკრავენ, რუმინიაც აგრეთვე იქცევა. ასევე იქცევა იაპონია. არის ზოგიერთი კომბინაცია რუსეთში შეჭრის, მაგრამ არ არის არც ერთი სახელმწიფო, რომელსაც სურდეს ამ საქმის ინიციატივა. არ კისრულობს აგრეთვე არავინ ხარჯებს. არის მეორე წინადადება—ბოლშევიკებთან ზავი. მაგრამ სანამდე არ გვექნება გარანტია, რომ ბოლშევიკები ხელს აიღებენ თავიანთ ბარბაროსულ მეთოდებისაგან—შეუძლებელია ზავზე ლაპარაკი. რა გზას უნდა დავადგეთ ჩვენ? ვერ შევძლებთ იარაღით რუსეთის აღდგენა. ჩვენ ეს უნდა შევძლოთ მასთან ვაჭრობის გაჩაღებით. რუსეთს ესაჭიროება სამეურნეო იარაღები, მატარებლები, მისი ტრანსპორტი მოშლილია და ის შეიგნებს, რომ სამაგიეროთ ამ მაშინებისა, მან უნდა მისცეს ევროპას ის, რაც მან მოიპოვება. რაც შეეხება იმ საკითხს, რომ ბოლშევიკები თავს დაესხმიან ბაქოს და სომხეთს, მე მგონია ეს არ არის ძლიერი საშიში. რა უნდა მიიღონ ბოლშევიკებმა სომხეთის მთებზე? რაც შეეხება ბაქოს ნავთს, ეს მათ შეუძლიათ მიიღონ ბაქოსთან ვაჭრობის განახლებით. მე მგონია, რომ ვაჭრობა შესძლებს მოსპოს ის ბარბაროსობა, რომელსაც დღეს ადგილი აქვს რუსეთში.

დასასრულ ის შეეხო ევროპის შინაურ მდგომარეობას და სთქვა, რომ საფრთ-

---

— „იფრქვევა ირგვლივ ნაპერწკლის ჩქერი".
კვერი ხმაურობს, გრდემლი გრიალებს...

— სადაც „ერთია ათასთა აზრი".

„ათასთა აზრი"—დემოკრატია დღეს დიდ სულიერ განსაცდელშია. ის [illegible] მომავალ მშვენიერებისთვის, ცდილის საძირკველს და აშენებს ახალ ქვეყანას. მისი ნაკვალევით სარგებლობს სულ „სხვა კლასი. თითონ კი ვერ გრძნობს იდეალის სიახლოვეს. ჩაჭერილია ყოველ დღიური ზრუნვის კლანჭებში. უბრალოთ და სასტიკოთ გადმოგვცემს ამ ტრაგედიას ბაბილინა.

— „არ მცალია ჩემს ბაღნებს მოვეფერო ქსოვო ეგებ წინდა...
ნუღარ მიცნობ მგოსან ქალად, ნურვინ მიცნობს დღეს, არ მინდა.
არ მცალია, არა არა!—ძველმანს ვაკერებ, ვქსოვ, ან ვკერავ.
იცის ჩემი ტრაგედია ჩემს ოჯახში სახლის კერამ.

თანამედროვე წინსვლაში ბურჟუაზია არ იღებს მონაწილეობას. ეს წინსვლა ხდება უმისოთ, მის წინააღმდეგ. ახალი ცხოვრებით მარტო ის სარგებლობს, დემოკრატია ჩაფლულია პროზაში. პროზაა ბაბილინას ლექსი:

— „დღის ცხოვრება ახლათ იწვის და ბაზარიც თვალს იტაცებს
და ქალაქიც უერს, აწვდის მოსაკვდავს ქალებს, ქაცებს;
ვუკვრიტინებ მაღაზიებს მე ხალისით მეტის-მეტით,
ვუკვრიტინებ მადა აშლილით და ვნორდები გულდაწყვეტით".

პოეტს ამ ლექსში არც ეცალია პოეზიისთვის. ამ პოეზიის პატივს და ღირსებას დასცინის და ფეხით სთელავს „დღიური ზრუნვა", ის ტყვეთ ყავს „ბატონს მამონას", ბეცს და ელამს".

ამისთანა განსაცდელშია რუსეთის, მთელი ქვეყნის დემოკრატიაც. ის ჰქმნის ახალ ცხოვრებას და ეს ცხოვრება მიუწდომელია მისთვის. ამ პირობებში ვერ განვითარდება ახალი ხელოვნება. ეს რჩება ისევ საიდუმლოებათ, რომელსაც მომავალმა უნდა ახადოს ფარდა. საიდუმლოების წინ სდგას [illegible], ყურს უგდებს, მაგრამ ვერ ხვდება მის ენას. მშვენიერება ისე მოშორებულია ამ სინამდვილეს, რომ ეხუ- „ზღვის არ ესმის მისი ძახილი, არ ესმის". ამ მგოსნის პოეზიაც ვერ ამთლიანებს ნატვრებს, ვერ აერთებს აწმყოს მომავალთან. ამ შეუძლებლობას ვხედავთ მის სიმბოლიურ ხაზებში.

თურდოსპირელიც უიმედობას ეძლევა [illegible], მაგრამ ის გულს იმშვიდებს რწმენით. ხატრფო—იდეალი ღება დამის წყვდიადში, ჯოჯოხეთის ცხრაკლიტულში. ეძებს... ვერ ნახულობს, მაგრამ სწამს, რომ ნახავს. სწამს, რომ „მსხვერპლთა წმინდა საფლავზე აღმოცენდება ის მშვენიერების." და „სიცოცხლე, დღეს მწარე, განაწამები, მზის სხივებთან ერთათ აკისკისებდა ლამაზ წალკოტში."

სარწმუნოება სისუსტის ნიშანია. სისუსტეა უიმედობაც, ძირს ფრთა მოტეხილი დაშვებაც, რა თქმა უნდა, მარტო უძლურების საქმეა. ყოველ დღიური ზრუნვის კლანჭებში ჩავარდნა არ შეშვენის ძლიერ პიროვნებას.

სისუსტე ეტყობათ „ცისარტყელის" მგოსნებს ზოგიერთის გამოკლებით. უმრავლესობის შემოქმედების ინდივიდუალისტური ფერი ადევს. უმრავლესობის მარტო კრძალ—განმარტოებული გრძნობებით უფუთქავს გული. ზოგი მათგანი სულ მოწყვეტილია სინამდვილეს, ზოგი მის ბრჭყალებში კვნესის, ზოგი კარს იკეტავს და ეშინია შორს გახედვის. ყველას კი გაურჩევლათ ემჩნევა ერთი ნაკლი. ყველას ორით, ცალცალკე აქვს წარმოდგენილი სინამდვილე და იდეალი. სინამდვილე აქ, იდეალი იქ.

მგოსანი ვერ ატყობს, რომ მომავალს აწმყოში აქვს ფესვები და იდეალი სინამდვილეზე ამოდის. მგოსანი ეძებს მშვენიერებას, ვითომ ის არსებობს თავის-თავად, დასაბამიდან, უკუნითი უკუნისამდე. ვერ გრძნობს, რომ იდეალს თითონ სინამდვილე ქმნის.

იდეალისკენ გზის განათება მხატვარს უფრო შეუძლია, ვიდრე მეცნიერს. მხატვრული კალამი სინამდვილეს [illegible] გაშლის, გადმოაბრუნებს, გამოაჩენს დაფარულ ძალებს. მეცნიერების საქმეა შემდეგ ამ ნედლი მასალის გადამუშავება და იქიდან დასკვნების შექმნა. ვერც ერთი მეცნიერული გამოკვლევა ვერ დაგვანახვებდა ისეთ სურათს საზოგადოებისას, როგორიც დაგვანახვა, მაგალითად, ტოლსტოიმ თავის მხატვრულ ნაწერებში. თითეული მისი სურათი ბრწყინვალეთ იქმია გაბატონებული კლასების წინააღმდეგ. კითხულობთ და გრძნობთ, რომ თუ ეს წესწყობილება ძირიანათ არ შეიცვალა, წინსვლა შეუძლებელი იქნება. საუკეთესო მასალაა რევოლიუციონური მოძრაობის და მსოფლმხედველობისთვის, თუმცა თითონ ტოლსტოი შეურიგებელი მტერი იყო რევოლიუციის.

ჩვენ არ ვამბობთ, რომ ყველა ტოლსტოის უნდა ედრებოდეს. მაგრამ არის, ასე ვთქვათ, პირველი მცნება, რომელიც სავალდებულოა მხატვრულ მწერლობაში. აქ, არავინ, დიდი იქნება თუ პატარა, არ უნდა მიდიოდეს წიგნიდან სინამდვილესთან. ამ მცნების დარღვევა საზიფათოა მეტადრე პატარა მწერლისთვის. ის ვერაფერს ხედავს სინამდვილეში წაკითხულის და ზეპირად დასწავლილის მეტს. მისი ნახატი ამიტომ ერთ ფეროვანი ხდება და მოსაწყენი. „ცისარტყელაში" ეს მცნება საერთოდ არ არის დარღვეული. აქ არ არიან მწიგნობარი მხატვრები.

მაგრამ არის მეორე მცნებაც. მხატვარი არ უნდა ჩქმალდეს გარშემო თავის პიროვნებას, არ უნდა ცხოვრობდეს მარტო თავისი „მე"-თი. დიდი მწერლისთვის არ არის საზიფათო ამისთანა ნაკლი პუშკინი, მაგალითად, ლერმონტოვი და სხვები ხშირად მარტო პირად სულისკვეთებას გადმოგვცემდნენ ხოლმე. მაგრამ ამ სულისკვეთებაში, როგორც სარკეში, დაინახავთ მაშინდელ სინამდვილის უკუღმართობას. „ცისარტყელაში" ბევრი, თითქმის უმეტესობა, ვერ ასრულებს ამ მცნებას. მგოსნის „მე" აქ ვერ გვიწევს სარკეობას და პირადი გრძნობების იქით ვერ ვხედავთ სინამდვილეს, ვერც იდეალს. პირველიც და მეორეც რჩება მათთვის მიუწდომელ სივრცეში.

ამ სივრცეს თავისებურათ უახლოვდება შ. არაგვისპირელი. ის აშიშვლებს სინამდვილესაც და იდეალსაც, ცდილობს ერთის მეორეზე გადასვლას, ერთმანეთთან შეხვედრას. მის სიმბოლიურ არაკში (გაბზარული გული) გამოყვანილია ერთი მხრივ საოქრომჭედლო, მეორე მხრივ ეთერის კოშკი. ძირს ლითონზე მუშაობს ოქრომჭედლის შაგირდი მახარე, მაღლა იმყოფება ნაზი, მშვენიერი არსება. გატაცებულ-ერთგულ მუშაკს ერთ საღამოს ხმა შემოესმა კოშკიდან.—„სულ მოულოდნელი იყო მახარესათვის ამ დროს ეს ხმა. განცვიფრებულს სამუშაო მიავიწყდა, [illegible], გონებაზე მიმდგარი, გავარვარებული და მოელვარე ლითონი, თანდათან უძაგრდებოდა, და ცეცხლიც ფერფლის ლეჩაქით ეფარებოდა... და აგერ ლითონი სულ გაცივდა, ქურაში ცეცხლმა ცხრაკეცი ფერფლის ლეჩაქი თბილ საბნათ წაიხურა... მიიძინა... მახარეს ხელი მაინც არ მოძრაობდა.. იჯდა მახარე სმენად გარდაქმნილი და უნებურად მთელის არსებით მიილტვოდა ხმისკენ, რომელიც ხან მედგრად იფრქვეოდა თავს და ხან კი ნაზათ, ტკბილად ეფუნებოდა და ესალბუნებოდა...."

პირველი შეხვედრა ხდება ისე, რომ მიწიერი და ზეციერი ერთმანეთს ვერ უახლოვდებიან. როგორც მოინდომა მახარემ სამჭედლოდან გამოსვლა და კოშკისკენ ფეხის გადადგმა, მაშინვე იქ... „სარკმელი დაიხურა.. და ხმაც მიწყდა..."

არ შეწყდა მისწრაფება. გულმოდგინეთ მუშაკი დაბრუნდა საოქრომჭედლოში და შემთხვევით აქ შეამჩნია მიგვანებული ხმა... მთვარის შუქზე ქურა თვალებში წაიჩხირა. ლითონის ხელი წამოავლო და იატაკზე გადაისროლა. ლითონმა თავისებური ხმა გამოიღო..." მახარემ იმ დღიდან დაივიწყა ყველაფერი, დაისახა მარტო ერთი მიზანი. უნდოდა ის მიმზიდველი ხმა კოშკიდან სამჭედლოში გადმოეტანა, იდეალი სინამდვილეში ჩაექსოვა.

იწყება დაუღალავი ძიება, შემოქმედებითი ტანჯვა... „მიუწდომელი იყო ვილაც ხელოსნისთვის ეს სიმშვენიერე, თუმცა ვინც უნდა იყოს მახარეზე ძლიერათ არავის ეყვარება ის... ის"—ფიქრობდა მახარე ამ დროს და „თან ეთერის მოძრაობა, მთლათ ის თავის ხმით, გავარვარებულ ქურის ალში ეტმასნებოდა". ლითონზე მომუშავემ მიაღწია თავის მიზანს. იპოვნა მთავარი ხაზი იდეალისკენ. ლითონებში მოამწყვდია ეთერის ხმა. მთავარი ხაზიდან გადავიდა წვრილმანებზე. მოინდომა ლითონისთვის ადამიანის სახეც მიეცა. „წვრილმანის ასრულება, შემუშავება უფრო ძნელი გამოდგა, მაგრამ მახარეს დაუღალავმა გონების მუშაობამ და მუდმივ ლითონების წრთვნამ ესეც სძლია... დიდი შრომის შემდეგ შეიმუშავა სახე ეთერისა და ლითონის [illegible] ჩამოასხა ბაგე ადამიანისა, ხოლოდ ენას... ენას ვერ აბამდა და ხელით აბამებრებდა... ერთი კვირის შემდეგ ესეც სძლია..."

მშვენიერი ხმის ძიებამ აქვს, ამ სინამდვილეში ისე გაიტაცა ეს პიროვნება, რომ დროს ველარ ამჩნევდა. თითონ ეთერის ხმა იმ კოშკიდან ველარ იზიდავდა მის სმენას. შეიცვალა მთელი მისი ბუნება. „უწყუვარ, შენ მახარე, რომ აქნობამდის არ შემიმჩნევია შენი ზრდა... თითქოს ამ ერთ ღამეს გაზრდილხარ",—ეუბნება ოქრომჭედელი ამ თავის შაგირდს.—ვ ოოხებ, მართალი ხარ... ის არ ვარ რაც ვიყავი... „ამ ღამემ გუშინდელი მახარე და დღევანდელი ძალიან ძალიან დააშორა..."

გულდამშვიდებული მუშაკი დარწმუნებული იყო, რომ იდეალი ახლა მის ხელშია. ლითონების საშუალებით დაიმორჩილა ეთერის ხმა. ხელოვნურათ შექმნილი გადადა ბუნებრივს. სამჭედლო და კოშკი ამ მხრივ აღარ განირჩეოდნენ ერთი მეორისაგან. ძირეული და მაღლეული ერთმანეთისკენ მიიწირთენ... „ეთერი შეკრთა და პირღია დარჩა, როდესაც თავის ხმასთან ერთად მიესმა მეორე იმისი ხმა... რა იყო ეს?! იმის ხმის „მაჩვ", თუ ქაჯი ემანჭებოდა... წამს კანკალმაც აიტანა"...

მახარე მალე დარწმუნდა, რომ იდეალის მთლად შეპყრობა არ შეიძლება, ის მეტია ყოველთვის, ვიდრე სინამდვილე. ხმა შეიპყრო, მაგრამ იქით დარჩა „ეთერი იმის ოცნებას ხატი"... „ვგონა ხმის შებოჭვით თვით ხმის პატრონს სახეც დავიპატრონებოდი", მაგრამ... გაიგო, რომ... ნამდვილი ეთერი კოშკშია, და აქ მხოლოდ იმის ოცნების ეთერი და ლითონში ჩაჭედილი იმის ხმა".

ეს იწვევს ახალ სულიერ ტანჯვას. ოქრომჭედელი ცდილობს ეთერის მთლათ დამორჩილებას, ეთერი—თავის ხმის უკან თავისთავის დაბრუნებას. მიწიერს უნდა ზეციური ხელში მოიმწყვდიოს, ზეციური ამავე მიზნით ეძებს მიწიერს. ესენი იზიდავენ ერთმანეთს, ერთი მეორის დასამორჩილებლათ. დიდხანს გრძელდება ეს თავდაუზოგველი მისწრაფება ძირიდან მაღლა, მაღლიდან ძირს. ბოლოს.. ეთერი და მახარე მიზანს აღწევენ. მიახლოვება-შეხვება ახდენს უზომო სულ [illegible] შთაბეჭდილებას ორივეზე... „ამათ აღარ ესმოდათ რა... მხოლოდ გრძნობდენ... გაერთიანებას და ამით უმაღლეს სიამოვნებას..."

შიო არაგვისპირელის ნაწარმოები გაუთავებელია, და არ სჩანს, თავდება თუ არა აქ პიროვნების ძიება, სინამდვილის მისწრაფება იდეალისკენ. ვფიქრობთ, რომ „გაერთიანება" ვერ დასვამს წერტილს. პირ იქით ამ წერტილიდან დაიწყება ახალი უხილავობა და ახალი სურვილი—წინსვლა. დაუსრულებელია სინამდვილე, დაუსრულებელია იდეალიც. სიცოცხლის დიდი აზრი ამ დაუსრულებლობაშია. აქ არის მთავარი სიამოვნება, რომელსაც უსათუოდ განიცდის პიროვნება „ათასთა აზრთან" შეერთებული. ეს ვიცით ჩვენ თეორეტიულათ და დაკვირვებითაც. ეს ვერ დაგვანახვა ჯერ ამ „არაკის" დამწერმა. შეიძლება დაგვანახვოს გაგრძელებაში.

ავტორის დაყენებული კითხვა საერთაშორისოა და მუდმივი. არ ვიცი, რატომ დაურქმევია თავის ნაწერისთვის „ქართული არაკი". ამისთანა „არაკი" ამავე შინაარსით, ზოგიერთი სახელების შეცვლით დაიწერებოდა ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და სხვა ენებზედაც. დიდი შინაარსი ავტორის ვერ აქვს მხატვრულათ ხორც შესხმული. ვერ აქვს შეზავებული მოთხრობის პატარა პატარა ადგილები ისე, როგორც მის გმირს შეუზავებია ლითონის ცალცალკე ნაწილები მშვენიერი ხმის შესაბამისათ. ემილ ზოლას ერთი მხატვარი („ტვორჩესტვო") ცდილობს შორეული სივრციდან იდეალის მოტაცებას და მხატვრულ ფერებში შემოქცევას. ის შლის, ხელახლა იწყებს იმავე სურათის ხატვას. ვერ აღწევს მიზანს. ქართველ ავტორსაც დასჭირდება თავისი ნაწარმოების გადაკეთება. იქნება მიზანს მიაღწევს.

საზოგადოთ „ცისარტყელაში" წინასიტყვაობა უფრო დიდია, ვიდრე ის, რასაც ეძლევა წინასიტყვაობის შემდეგ. ჟურნალს ჯერ ვერ აქვს აღებული ის ხაზი, რომელიც არის ნაჩვენები პირველ ორ გვერდზე. „ცისარტყელამ" უნდა დაძლიოს ეს დაბრკოლება, როგორც დასძლია შიო არაგვისპირელის მახარემ ზეციური დაბრკოლებები. მთავარი ხაზი მხატვრულ ნაწარმოებში შეიძლება იყოს მრავალმხრივი და მრავალფეროვანი.

ს. დუდუჩავანი.

ნე მოგველის არა რუსეთიდან, არამედ—შიგნიდან. პარლამენტის წევრებმა კარგად იციან, როგორც ხურო განოიჯენონ სიტყვით. რათა არსებული წყობილება დაიხსნონ. ჩვენ უნდა მივიღოთ ყოველივე ზომები ანარქიის აღმოსაფხვრელად.

კახეთის ვალი

(გორის უბედურების გამო).

ჩვენ მთელი თბილისი ფეხზე იდგა და ქართლის გულის, გორის აღდგენაზე ფიქრობდა და დაუღალავად შრომობდა. დიდის და პატარის აზრი და ფიქრი თქვენსკენ იყო მიპყრობილი და მტკიცე გადაწყვეტილება ჩვენის მთავრობის თავმჯდომარისა, რომ ქართლის დედა ქალაქი გორი ისევ უნდა აღსდგეს ნანგრევებიდან, მართალი წადილი და სიტყვა კი არ იყო, არამედ ურყევლობა, გადაუდებელი სადღეისო საქმეასავით იყო საქართველოს სატანჯველ ქალაქის გადაწყვეტილება და ჩვენ გვაინტერესებდა როგორი ეხმაურებოდა ყველა ამას პროვინცია, საქართველოს სხვადასხვა კუთხე, რომელიც გეოგრაფიულად უფრო დაშორებული იყო ამ უბედურების და საშინელების სურათს. აი ლამაზი კახეთი თავისი შეუდარებელი მთებით, ძველებურად თამაშობენ მის მწვერვალებზე მრავალ ფერათ მზის სხივები, ძველებურის მელოდიურობით გადმოჩქეფს ალაზნის ველი ყვავის და ყველაფერში იპარება გაზაფხულის პირველი სხივი, ახლოვდება მისი მომაჯადოებელი ღიმილი. ძველებურად უფრო წარმტაცია ეს მარგალიტი ჩვენი ქვეყნისა და არაჩვეულებრივად ლაღობს მისი ბუნება.

მაგრამ მე მინდა ხალხი ვნახო, გავიცნო მის გულის თქმას, ზრახვებს... ესმის თუ არა მას—ის საშინელი უბედურება დატყდა მის ძმებს ქართლში, აღწევს თუ არა ამ ტრიალის და ვაების ხმა მის ყურამდე და რას ფიქრობს, რას აპირობს იგი ამ ერთვნილ უბედურების დროს, როცა დამფ. კრებამ გლოვის ნიშნად დროშა დახარა?

და, აი ეს ხალხიც, კახელნი, მშრომელნი და მუყაითნი, დღესაც ეწევა დაუღალავ შრომას, მაგრამ კახელის ბუნების ღიმილს ვერ უფარავს დიდს მისი ფიქრი. ის დაკუმშულის ცრემლებით დადის, ჩუმ ფუმ ნაღველს ატარებს და ფიქრობს, ქართლის დედა გორზე, მის ხალხის უბედურებაზე. ყველას ყელის კახეთში და ქიზიყშიც გორის ამბები აკერია ენაზე და სწყუს. მაგრამ მარტო ოდენ ეს არა ნიშნის ფიცლობა, სასოწარკვეთილება; არც მტკიცე გადაწყვეტილება, რომ დედა ქართლისა უნდა აღდგეს ნანგრევებიდან. „დ ეხმარეთ გორს, ქართლის სოფლებს" აი დღეის განმეორებული კახეთისაგან.

დემოკრატიამ ნამდვილად გაავრცელა 5 კუთხეები საქართველოსი, მან შექმნა შეგნება მთლიან საქართველოსი. დღეს ეს მისთვის ცალი და ოცნება კი არ არის, ფურცელი სიტყვა კი არ არის, როცა შუადამ გასმილა და გაისმის მრავალ ჯურის ნაციონალისტებისაგან, ეს არის შეერთებული ცხოვრება, გაერთიანება გრძნობით, საქმიანობით, პრაქტიკული ნაბიჯებით.. და ამიერიდან ერთი კუთხის ტკივილი, მისი ტკბება მთელი ქვეყნის ტკივილია და მთელი ერი გრძნობს საამისო წამალს. აი ნაყოფი დემოკრატიის დაუღალავ შრომისა.

ყოველ კუთხეს მიაქვს დღეს ქვა, რომ მეტ-ხლა ააგოს გორი, უფრო ლამაზი, კოხტა და მდიდარი. და კახეთს სწამს, რომ ხალხი ამას შეძლებს, და არწმენა ხომ ნახევარი საქმეა... აი გახსნა ნან თავისი გული, გამოიღო თავისი მოლოდინი კალთა და ხნავთ გადმოდის არა შეწირულება, არამედ ვალი, რომელიც ყოველ კუთხეს საქართველოსას მართებს დღეს, ვალი ქართლისა. ბარაქ ალა, დამშეულია კახეთის სიმდიდრეც და ისიც არის იმედები თავის ძმისათვის. მომავალშიაც არ დაცხრება ეს წადილი და საქმიანობა. დღეს კი აი რა ეძლევა ჩემ გორისათვის: შილდა თელავის და მ ელი მისი მაზრის ცენტრალ. კომიტეტის კრება. ამ კომიტეტში შედის თელავის ქალაქის თვითმართველობიდან გამოყოფილი ერობის და ყველა პარტიის და კოოპერატივ დაწესებულების წარმომადგენელი. ცენტ. კომიტეტის თაოსნობით თელ მაზრაში, სოფლებში თემების ამგეოგნესთან მოეწყო კომისიები, რაც სოფლებიდან დიდი თანაგრძნობით იღებენ. რომლებიც დღეს ენერგიით მუშაობენ და დღეს პურს, ფულს აგროვებენ. ცენტრ. კომიტ. დიდი მრავალი შემოწირულებანი, რომ აქვე კერძო პირთაგან. იგ ყოველ წესიერებიდან, თითქმის ყველა ამხანაგი კერძო თუ საზოგადო მხარ. ყოფნა ერთი დღის ჯამაგირი დედ. ცენ. კომიტ. შესულ ჯამაგირის თანხები. ერთბაშად 5 000 მან., კახ. ქალ. 40,000 მან. ... თვითმართ. 25,000 მ.. თელ. შემნახ. გამგეობ. ამხ. იმ დღესვე, რა დღესაც მოვიდა ცნობა გორის ამბებისა, გადაეგზავნა თბილ. ცენტ. კომ. 10 000 მ. ხოლო ამ ქამად ამხ. ეპირება ძალიან დიდ თანხის გადადებას. ამასთანავე ამხ. ამხ. ორი თვის თავის მოწყობილებით და მთელ სარგ. საწყობს აძლევს ცენტ. კომიტ. დაუანგარიშოდ მთლიანად მთელი მაზრის კოოპერატივთა წარმ. კრება. სეცა ერთდროული გადასახადის გარდა ადგინეს ყოველ გაყიდულ საქონელზე 1 პროცენტიდან ლეწყობილი საქონლის დაბეგვრით დააწესონ პროცენტის გადადება ცენტ. კომიტ. განკარგულებაში. აგრეთვე შემნახველ გამსესხებელმა ამხანაგობამ, დააწესა მაზრამაზე და სოფლებზე თითო თუმნის მომატება ფასზე, რაც ამავე მიზნით გადიდება. თელავის თვითმართველობის გადაწყვეტილებით 150 სულს მისცემს ბინას (მთავრობის ხარჯით) ხოლო ერობა 50 სულს მთელი ხარჯით ს ვატანით. ადგილობრივმა ცენტ. კლუბმა ერთდროულად გადასცა ცენტ. კომიტ. 5,000 მ. ხოლო ყოველ თვე 500 მ.—1000 მანეთამდე აძლევს შემოსავლიდან.

ამასთანავე 6 და 7 მარტს ადგილობრივი ცენტ. კომიტ. არსებული ქალთა წრე მართავს სალამოს, წარმოდგენას, სინემატ. სურათებს და ყულაბებით ფულის მოგროვებას. აი ასეთია ჯერ კახელთა ვალის გადების დასაწყისი თავიანთ მოძმე გორელებისათვის.

თ. გოგოლაშვილი.

დახმარება მიწის ძვრისაგან დაზარალებულთ

ს. ბეთლემი. სოფელი ბეთლემი დაარსდა 1908 წელში სოფელ სკრასთან 1 ნახევარ ვერსის მანძილზე, ყოფილი ბანკის მიწაზე. მცხოვრებნი გადმოსახლდნენ ახალ ქალაქის მაზრიდან, აიშენეს იაფური მიწური სახლები და როგორც ყოფილი [illegible] გლეხები, დაეპატრონენ მიწას. გამოიყვანეს წყლის არხები, გააოყრეს მიტოვებული და აოხრებული მიწები, თესენ და მოჰყავთ ჭ ნახული, ქართოფილი, სიმინდი, კიტრი, საზამთრო და სხვა. ინახავდნენ მსხვილფეხ საქონელს, ცხვარს და ცხოვრობდნენ მშვიდობიანი შრომით, კმაყოფილნი თავიანთი ხვედრით.

თებერვლის 20 მიწისძვრამ სოფ. ბეთლემი მიწასთან გაასწორა, რომელიც ჩათვლილ უნდა იქნას პირველ კატეგორიის მიწისძვრისაგან დაზარალებულთა სიაში: 85 კომლი, რიცხვით 300 სული, 260 სული საქონელი და 150 სული ცხვარი ამ სიცივეებში კარში უბინაოდ დარჩენილნ, სრულიად დაინგრა 25 სახლი, მძიმედ დაზიანდა 5—6, დანარჩენები დაზარალდნენ საშუალოდ; ჭურ ნახული, ქართოფილი, ქონების უმეტესი ნაწილი მიწის ქვეშ დარჩა. ჯერ-ჯერობით ბეთლემელებს აღმოუჩინეს მთავრობისგან შემდეგი შემწეობა: სულზე მიიღეს 10 გირ. პური, თითო სიმინდი, 12 ნაჭერი შაქარი, ჩაი, 1 ნახ. ფ. ლობიო, 20 გირ. ბრინჯი, 35 პოლუშუბკა მთელ სოფელზე, დადგეს ერთი იურტა, ერთი პალატკა და ერთი ფიცრის ბარაკი, სადაც მოთავსებულია 30 სული.

ეს მოწოდებული შემწეობა წარმოადგენს წვეთს ზღვაში მათი უბედურების მიხედვით.

წინანდელ შენობების ადგილზე მცხოვრებნი უარს ამბობენ და სურთ ხის შენობები დაიდგან. ჯერ არ იციან რა შემწეობას აღმოუჩენენ ამ დარგში. დ წვრილებითი ს. ბეთლემის უბედურების აღწერა ჯერ არ მოუხდენიათ გარდა ორი-სამი პირისა, რომელთაც გავრით აწერეს; დაუყოვნებლივ შემწეობის აღმოჩენა ბინების გასაკეთებლად პირველი საკითხია, რადგანაც გლეხები უმზადებიან გაზაფხულის თესლობას და ზოგი ერთი მათგანს სათესლე ქერი და ქართოფილი მიწას დაუყვეთ, მუშახელი მინდვრებში უნდა გავიდეს სამუშაოთ და ბინები გაუკეთებელი დარჩება, მცხოვრებნი და საქონელი უბინაოთ გაცივდებიან და დაიხოცებიან. მიწის ძვრა ჯერაც არ შეჩერებულა...

ბეთლემის მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტი: 1) ვერამ მეჯუანია, 2) ლაზარე თარხნიშვილი და 3) ალ. ხუციშვილი.

5 მარტი.

— ბათუმის ქართველმა ეროვნულმა საბჭომ თავის საგანგებო სხდომაზე 25 თებერვალს დაადგინა: დაარსდას გორის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტი რ. ე. ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით და ეცნობოს ყველა ეროვნულ საბჭოებს და პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს, რომ ეგის ამ ახალ კომიტეტში გამოგზავნონ თავიანთი რწმუნებულნი.

ეროვნულმა საბჭომ ამავე სხდომაზე გამართა ხელის მოწერა დამსწრეთა შორის და შეაგროვა 68 000 მანეთი. ხელის მოწერით შეგროვებულ მეორე დღემდის და საერთოდ შეგროვილ იქნა 747.400 მანეთი, რომელიც მაშინვე გადაეგზავნა საბჭოს უმთავრესი კომიტეტის სახელზე.

— შემომწირველთა სია: 50.000 მან. თითომ: შ. ჰუნიამ, ნ. საზიევმა, ფირცხალავა და შარაშენიძემ, გ. ბერძენიშვილმა, ამხ. „ორიანტმა", 2) 30.000 მანეთი თითომ: ნ გ. სიხარულიძემ, გრ. დოლიძემ, 25 000 მ. ლ. სარიშვილმა. 20 000 მანეთი თითომ: რ. ე. ჯავახიშვილმა, ვ ვერტელიძემ. 10.000 მანეთი თითომ: ი. კახიანმა, ძმ. რუხაძეებმა, მ. და ი. მგელაძეებმა, ქ. მატარაძემ, ვ. ჰუდიამ და ამხ., გ. თავართქილაძემ, ი. მაჭარაძემ და ვ. წოწონა ამ, ექიმ გიგინეიშვილმა, მ. და ნ. ჯაყელებმა, ექიმ გრ. ლ. ეფიოვამ, მ. გვარჯალაძემ, რ. გოგუაძემ, ი. ჩხიკვაძემ, ს. ჯანელიძემ, ნ. აბაშიძემ, ი. და ვ. ივანოვებმა, ი. გულორიამ, ლ. პეტრენკომ, ე. ჩხიკვაძემ, პ. ხაზარაძემ, ექიმ მხეიძემ. 5.000 მანეთი თითომ. თ. თოფურიამ, ა. მებუკემ, სპ. გურგენიძემ, ნ. მგელაძემ, ზ. ჩხენკელმა, მ. რუსიძემ, გრ. [illegible]ძემ, ბ. მგელაძემ, ი. გოგუამ და ქ ტუღუშმა, ი. სპანიდიმ, გ. ნიკიტინმა, გ. [illegible]მა, ლ. ღლონტმა, ბ. გიორგაძემ, ლ. ძნელაძემ, ს. ჯიბლაძემ. 4.000 მ. ს. ლომინაძემ და გ. გიორგაძემ. 3 000 მანეთი თითომ: პ. და ალ. წულაძეებმა, გ. და ქ. პელიძეებმა, ნ. ალნიაშვილმა, ი. კარანაძემ, ლ. და ი. ივეზაძემ, ვ. ღლონტმა, გ. კალანდარიშვილმა, დ. ჯიშკარიანმა, ე. ჩხიიძემ, რ. სანაძემ, დ. კანდელაკმა. 2 800 მანეთი: სახელოსნო სასწავლებელში შეგროვილი პ. აკაშიაგეინაგან. 2 000 მანეთი თითომ: ი. ქურთიშვილმა, ა. გოგუაშვილმა, ძმ. რიგუებმა, ი ყუფარაძემ, ქ. აროშიძემ და ს. იმნაძემ, გ. სიმონიშვილმა, გ მახარაძემ, პლ. გოგუამ, ქ. ჯორბენაძემ, ბ. გაბელიამ, ვ. კაკაბაძემ. 1.500 მანეთი ირ. ღლონტმა. 1 000 მანეთი თითომ: ან. რამიშვილმა, ქ. კაპანაძემ, სვანიშვილმა და სადრაძემ, მ. მესხიშვილმა, ექიმ რატიანმა, ს. ყუფარაძემ, კირილ ლორთქიფანიძემ, ოსმან ფარმთლიშიძემ, პლ. კილოიანმა, პ. ზაქაძემ, ქ. სარიშვილმა, დ. გაბუნიამ, პ. მ. ჭავარიანმა, [illegible] მესხმა, მარიამ იჩნაძემ, ვ. სვანიძემ, ნ. სიხარულიძემ. 700 მ მარიამ ღლონტმა 600 მ. მარინე ნაკაშიძემ, 500 მან.. თამარ [illegible]შვილმა, 300 მანეთი ე. იანიროვამ.

სულ 747.400 მანეთი *)

— ნატანები. თებერვლის 29. ხაგანგის ბატალიონის კომისარს და ცხენოსან დივიზიონის წარმომადგენელთა კრებამ დაადგინა: იმ მძიმე ხვედრის შესამსუბუქებლად, რომელიც ეწვია გორელებს, გადადებულ იქნას ჩვენის მხრივ ორი დღის ჯამაგირი, განურჩევლად თანამდებობისა (როგორც გვარდიელთაგან აგრეთვე ოფიცრებისაგან).

ის გვარდიელები, რომლებსაც ეხება სამხედრო სამსახური და განთავისუფლებულნი არიან ასეთ გადასახადისაგან, თუ კი მოისურვებენ, თავისი სურვილით შეუძლიათ შეიწირონ ამ დადგენილების სისრულეში მოყვანას კრება ავალებს ამხ. გოიაშვილს და მათე ხეჩიას.

— ნიგოითი (გურია) 29 თებერვალს ნიგოითის თემის ხმოსანთა საბჭოსა და რაიონულ ს. დ. კოლექტივის გაერთიანებულ კრებაზე დაარსდა გორის დამხმარე კომიტეტი, რომელიც აგროვებს ნიგოითის რაიონის მცხოვრებთაგან ფულსა და სიმინდს.

— ოდლაგა. [illegible] თემის მრავალრიცხოვანი მიტინგი ისმენს მოხსენებას დამფუძნებელი კრების წევრის სოსო მ ჭავარიანის და მაზრის დამხმარე კომიტეტის წევრისას გორის ამბების შესახებ. გამოსთქვამს დიდს მწუხარებას თანამოძმეების უბედურებაზედ, დიდ თანაგრძნობას უცხადებს მთავრობას და აღუთქვამს მას ყოველგვარ დახმარებას როგორც გორის და მის მაზრაში დაზარალებულ ძმ თანამოძმეთა დახმარებაში, ასევე რესპუბლიკის განმტკიცების საქმეში და დემოკრატიულ წყობილების დამყარებაში. მიტინგის თავმჯდომარე ჩიჩიშვილი.

იუსტიციის სამინისტროში

— სამხედრო სამინისტრო აცნობებს იუსტიციის სამინისტროს, რომ ყველა ჯარის ნაწილებს დაეგზავნათ ცირკულიარი, რათა სამხედრო სავანეებმა სასამართლოებისაგან გადაეგზავნოს თავის განაჩენით სათანადო ოლქის სასამართლოს პროკურორებს ყველა ის საქმეებიც, რომელნიც მათ წარმოებაში იყო.

— ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორი მოახსენებს იუსტიციის მინისტრს, რომ მარტის 2 ს ფოთში მოხდა მეურნეობის კასის გაქურდვა. მოპარულია 414,951 მან. გამოძიება სწარმოებს.

ს.-დ. პარტიაში

სიღნაღის მაზრა. 21 თებერვალს სიღნაღის სამაზრო კომიტეტის მიერ მოწვეულ იქნა ქ. სიღნაღის პარტიული ამხ. კრება, დაესწრო 50 კაცი, თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ს. ნატროშვილი მდივნათ დ. ნანობაშვილი, კრებას დაესწრო ცენტრიდან გამოგზავნილი ამხ. ე. ბოლქვაძე. დღის წესრიგში იყო: 1) პარტიული მუშაობა, 2) ცენტრიდან ამხანაგების გამოწვევა, როგორც ქალ. სიღნაღში, აგრეთვე მაზრაში მოხსენებების გასაკეთებლათ, 3) საწევრო გადასახადის განსაზღვრა, 4) ქ. სიღნაღში კოლექტივის არჩევა. პარტიული მუშაობის შესახებ ილაპარაკა ამხ. ბოლქვაძემ და აღნიშნა, რომ ჩვენი პარტიული ამხანაგების ენერგიულმა მუშაობამ მოგვიყვანა იმ მდგომარეობამდე, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით დღეს, როგორც არის საქართველოს დამოუკიდებლობა და დემოკრატიული რესპუბლიკის განმტკიცება და თუ ჩვენ პარტიული მუშაობა შევაჩერეთ, რა თქმა უნდა, შესუსტდება დემოკრატიული პრინციპების გატარება ცხოვრებაშიაც და მოუწოდა ამხანაგებს მუშაობისაკენ. ილაპარაკეს სხვა ამხანაგებმაც, რომლებიც მოუწოდებდენ დამსწრეთ ენერგიულათ ემუშავნათ პარტიაში. მეორე კითხვის შესახებ კრება ავალებს სამაზრო კომიტეტს, რომ სთხოვოს ცენტრს გამოგზავნოს ამხანაგები, რომელნიც გააცნობენ ხალხს საერთო მდგომარეობას. კრება გამოსთქვამს სურვილს, რომ მოხსენებები გააკეთონ ცენტრიდან ამხ. ა. ჩხენკელმა და ამხ ი. გომართელმა.

საწევრო გადასახადის შესახებ კრებამ დროებით სახელმძღვანელოთ გადაწყვიტა შემდეგი, ვინც კარგს პირობებშია და ჯამაგირიც კარგი აქვს, იმან თვეში უნდა გადაიხადოს 10 მან. ვისაც შემოსავალი ნაკლები აქვს იმან კი 5 მან. დასასრულს მოხდა კოლექტივის არჩევნები. კოლექტივში არჩეულ იქნა 7 კაცი.

კალ.

მუშათა შორის

ხაშურთალის მუშათა კლუბი.

29 თებერვალს გაიმართა წარმოდგენა-სალამო გორისა და მის ირგვლივ მდებარე სოფლების მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ. სალამომ წმინდა შემოსავალი დასტოვა 10,052 მ., რომელიც გადაეცა იმავე კლუბის ხაზინადარს მთავრობის საგანგებო კომიტეტში წარსადგენათ.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ეს პატარა დემოკრატიული ჯგუფი, რომლის არსებობა თითქმის არავინ იცის, ყოველთვის მზათ არის დაეხმაროს თავის მოძმეებს. ასეთ შემთხვევებში ყველა ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს საერთო საქმეში.

თუ ეს ითქმის მატერიალურათ უფრო შეძლებულ ნაწილზე საზოგადოებისა, რომელიც მზათაა თავისი ლუკმა გაუწილოს გაჭირვებულ მოძმეს, იგივე არ ითქმის ზოგიერთა აქაურ ვაჭრებზე, რომლებიც იყვნენ ჯიბეს და როცა საქმე მიდგება რაიმე დახმარებაზე, ისინი ხათრითაც კი არ ეკარებიან ამ მიზნით გამართულ სალამო-წარმოდგენებს, რაც ერთხელ კიდევ დაამტკიცა ამ სალამომ.

დასასრულ გამგეობა განსაკუთრებით მადლობას სწირავს ადგილობრივ კომისარს, რომელმაც სალამო-წარმოდგენის მოწყობაში დიდი დახმარება გაუწია გამგეობას.

გამგეობის ერთი წევრთაგანი.

პროვინცია

გორი. 5 მარტს გორის კლუბის საზაფხულო ბაღში (მხოლოდ ეს დარბაზი გადურჩა უკანასკნელ მიწის ძვრას რაკი ხისა იყო) შედგა გორის ქალაქის საბჭოს სხდომა. სხდომას, გარდა ხმოსნებისა, დაესწრნენ სხვა დაინტერესებული პირნიც. სხდომას თავმჯდომარეობდა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი ს. მაჭავარიანი, მდივნობდა ა. ლაზიშვილი. გასარჩევი იყო: ქალაქის აღდგენა, სასწავლებლების საკითხი. სანამ არსებითად საკითხების გარჩევას შეუდგებოდა კრება, ქალაქის თავმა პ. ჯაფარიძემ გააცნო სხდომას, თუ რა დახმარება და როგორი გაუწია არსებულმა დამხმარე კომიტეტებმა და კერძოთ ქალაქის თვითმართველობამ მიწის ძვრისაგან დაზარალებულთ.

ქალაქის აღდგენის საკითხმა ხანგრძლივი კამათი გამოიწვია და ბოლოს არჩეულ იქნა ქალაქ გორის აღმდგენი კომიტეტი 9 კაცისაგან შემდგარი ქალაქის თავის თავმჯდომარეობით, კომიტეტის წევრებათ არჩეულნი არიან პ. ჯაფარიძე (თავმჯდომარე), მ. კობერიძე, ს. მაჭავარიანი, გ. მინაზაროვი, ა. ტერსტეფანოვი, ი. ალიხანოვი, გ. იასამანოვი, დ. მაჭავარიანი და ზ. ქიტიაშვილი. მათ კანდიდატებათ: ნ. თუმანიშვილი, ქ. ელიოზიშვილი და რ. ზუბუგუნაშვილი.

გორში არსებულ სასწავლებლების შესახებ ქალაქის თავმა პ. ჯაფარიძემ გააცნო კრებას, რომ გორში არც ერთი სახლი არ მოიპოვება ისეთი, რომ შიგ სასწავლებლის მოთავსება შეიძლებოდეს, რისთვისაც განათლების მინისტრის აზრით, დროებით სასწავლებლები გადატანილ უნდა იქნას გორიდანა და მთავრობა კი თავის მხრივ თითოეულ მოწაფეზე თვიურ ხუთას მანეთს დახმარებას აძლევს, გამგეობა კი იმ აზრისაა, რომ დროებით სწავლა სულ შეჩერდეს, მოწაფენი ნიშნების მიხედვით იყვნენ გადაყვანილნი შემდეგ კლასებში. ამ საკითხმაც ხანგრძლივი მსჯელობა გამოიწვია, დაბოლოს მიღებულ იქნა გამგეობის აზრი, ვინაიდან თითქმის ასეთივე იყო დადგენილება მშობელთა წრისაც, ე. ი. გადაწყდა, რომ სასწავლებლები არ იქნეს გადატანილი სხვაგან თუნდაც დროებით, სწავლა არ განახლდეს, სანამ გორშივე არ იქნება თუნდაც დროებითი შენობები სასწავლებლებისათვის და მოწაფენი ნიშნების მიხედვით იქნან გადაყვანილნი შემდეგ კლასებში.

შემდეგ წაკითხულ იქნა განცხადება სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებისა, მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ 25 000 მანეთის გადადების შესახებ, რის გამოც სხდომამ დაადგინა მადლობა გამოუცხადოს საზოგადოებას და საერთოდ ყველა შემომწირველთ გულწრ. შეწირულებისათვის.

ი. ქუტირელი.

— —

ხონ. ბაში (ქუთაისის მაზრა). უკანასკნელ ხანებში ქურდობა მძიმე ხასიათს ღებულობს. საზოგადოება აღელვებულია. სულ მოკლე დროში სამი თავდასხმა და ძარცვა გლეჯა მოხდა. ერთი თვის განმავლობაში გაძარცვეს და დასჭრეს ადგილობრივი მცხოვრები კუპუნაძე, გაძარცვეს აგრეთვე კეპულაძის სახლი. უკანასკნელათ ამ წლის 26 თებერვალს თავს დაესხნენ და სრულიად გაძარცვეს ვასილ ამბაკოსძე ნაცვლიშვილი, გაიტაცეს 70,000 მან. ოქრო, ვერცხლი და ქაღალდის ფული და რამდენიმე ათასი მანეთის ტანსაცმელები. თვით ნაცვლიშვილი დასჭრეს თავში, მკერდში და ხელში. სამი თავდამსხმელი ყაჩაღთაგანი შეპყრობილია. ესენი აღმოჩნდნენ ადგილობრივი ახალგაზრდები: ხლება ქორქოლიანი, ნოე ბაშელეიშვილი და ილიკო ქორქოლიანი. ვერ შეიპყრეს ორი თუ სამი მათი ამხანაგი, რადგანაც ისინი გარედან სდარაჯობდენ სახლს ძარცვის დროს. თავდასხმა მოხდა საღამოს 7—8 საათზე, რაც იმის მაჩვენებელია, თუ როგორ გათამამებულან სოფლის ნაძირალები.

აღსანიშნავია, რომ ყაჩაღები გვარდიელების სახელით შედიან სახლებში, ვითომც იარაღს ეძებენ. საჭიროა ცხადად იქნეს მიღებული სასტიკი ზომები, რომ ყაჩაღური თავხედი-მოქმედებანი საერთო ანარქიათ არ იქცეს.

თ. ბაშელი.

---

* ჩვენი გაზეთის მე 54 ნომერში შეცდომით იყო მ. ხსენებული, თითქოს ეს ფულები შეკრიბოს ბ. შოლვა ქუთაისს, ნამდვილად კი ფული შეაგროვა ეროვნულმა საბჭომ.

განცხადებანი

სამართებლები
„ჟილეტს"
ნამდვილი ამერიკული სასწრაფოთ იყიდება
შეღავათიან ფასებში ბითუმათ და ცალობით ა. ვაჩიხტის
ინგლისურ მაღაზიაში
რუსთაველის პრ. № 20 სახაზინო თეატრის პირდაპირ. (968 2—1)

ქ. თელავში იყიდება
სახლი
მე-3 ნაგორნაიას ქ. № 23, პირობების გასაგებათ უნდა მიმართონ ქ. თელავში ს. ფილიპოვის, თბილისში გასპარ სულხანოვს. მეტეხის ქ. № 13.
(966 1—1)

სახლი
ორ ოთახიანი იყიდება
ტელეგრაფის მახლობლად, პირობების გაგება შეიძლება საოლქო სუდის უფროსი ნოტარიუსის განყოფილებაში დარაჯ „გრიგორიანთან" დილის 10 დან საღამოს 6 საათამდე. (963 1—1)

ექიმი [illegible]
იღებს შინაგან და ნერვიულ სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 27, [illegible]

ექიმი ქალი
მ. მ. ა[illegible]
წყნეთის ქუჩა № 2[illegible]. იღებს ყოველ დღე 1—3 საღამოს 6—7. სპეციალურად [illegible] ქალების ავადმყოფობა და ვენერიული ავადმყოფობა.

ექიმი
ნ. დ. ცერიაშვილი
იღებს შინაგან, [illegible] და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 1—3 ს. და საღ. 4—5 ს. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, ვორონცოვის ბაღის ახლოს. ტელ. 15—13. 119—თ.)

ექიმი
დოქ. [illegible]
([illegible])
იღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათ. სასახლის ქუჩა № 52.
(თ. 581)

ექიმი ა. ლევენშტეინი
შინაგ. და ნერვიული სნეულებანი. ექიმობა და გამოკვლევა ყველა თანამედროვე საშუალებებით. სპეციალურად: გულის, ფილტვების, კუჭ-ნაწლავების, [illegible] და ნერვიულ სისტემის. რენტგენისა და ელექტრო-სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 და საღამოს 4—7 საათ. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3. (471)

კბილის ექიმი
ქ. ე. ბიბინეიშვილი.
იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და 4—6 საათ. ნიკოლოზის ქუჩა № 64
(566—4—4)

კერძო სამკურნალო
ექ. ე. მ. მძინარიშვილისა
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. და კიროჩნ. ქუჩ. კუთხე № 22 ტელ. 10—87
მიღება ყოველგვარ სნეულებიან ავადმყოფებისა დილის 8—3 საათამდე, ვენერიულით, სიფილისით და კანის სნეულებით დაავადმყოფებულნი მიიღებიან აგრეთვე საღამოთი 4—7 საათ. უსახსროებისათვის უფასოთ დილის 8—11 საათ.
იღებენ ექიმები
ი. კ. ახაკელია—შინაგან ავადმყ.
დ. ვ. ჯავახიშვილი—შინაგანი და ბავშვების ავადმყ.
ა. ვ. მაღალაშვილი—შინაგ. ავადმყ. და მიკრო—ხიმ. ანალიზი.
ა. გ. მაჭავარიანი—ხირურგ. ავადმყ.
ე. მ. მძინარიშვილი—ვენერიულ, სიფილისის და კანის ავადმყ.
ნ. ხ. ორემბოვსკი—ყურის, ყელის და ცხვირის სნეულ.
ზ. მ. ცხვედაძე—თვალის ავადმყ.
ე. ლ. შალამბერიძე—ქალის ავადმყ. და საბებიო.
სამკურნალოში სწარმოებს: კონსულტაცია, ოპერაცია, ელექტრიზაცია, მასაჟი, კანს ქვეშ შეშხაპუნება, ყვავილის აცრა, „606" და „914" შეშხაპუნება და აგრეთვე მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი (ნახველის, კუჭის წვენის, სისხლის. შარდის, განავალის და სხვ. (თ. 009)

ექიმი ა. დ. კეკელია
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველდღე დილით 9—11 და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოვ"-ს პირდაპირ. ტელ. 14—28.
(154—თ.)

ექიმი
პ. შ. ზართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიული სნეულებანი (სიფილისი „606" და „914" შეშხაპუნება). მიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. სურამის ქ. № 9, ვოკზალის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (თ. 546)

დოქტორი მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტის კლინიკებისა
გ. შ. მეგრაბიანი
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-სამკურნალო კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ჭლექების [illegible]—პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილით 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. [illegible] ქ. № 23, ტელეფ. 7—92.
მიწის ძვრისაგან დაზარალებულებს ავადმყოფებს იღებს უფასოთ. (თ.636)

ექიმი [illegible]
სპეციალურად სიფილისი და შარდის სნეულებანი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე [illegible] განყოფილების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველდღე დილით 9—11 და საღამოს 5—8 საათამდე. [illegible] მისამართი: [illegible] ქუჩა № 28.

[illegible] სტამბა გ. რუხაძისა, [illegible] № 1.